მხურვალე სალამი საბჭოთა მწერლების პირველ საკ. ყრილობას

ეს ნომერი შეიცავს ექვს გვერდს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 30 კაპ.

# სალიტერატურო გაზეთი

10 აგვისტო 1934 წელი

№ 15 (69)

ტფილისი
მწერალთა სახახლე
მაჩაბლის ქუჩა № 13.
ტელეფონი № 1—65.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო

რედკოლეგია: რაჟ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე, ა. დუდუჩავა, ნ. ზომლეთელი, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი.

# საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა

## „პრავდა“-ს მოწინავე

15 აგვისტოს გაიხსნება საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა. ჩვენი ქვეყნის მხატვრულ სიტყვის ოსტატები უდიდესი პროლეტარული მწერლის ალექსი მაქსიმეს ძე გორკის მეთაურობით უცხო ქვეყნების რევოლუციური ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ ყრილობაზე საბჭოთა ხელოვნების და ლიტერატურის განვითარების პრობლემებს.

ყრილობა, რომელიც ორგანიზაციულად ამთავრებს ორი წლის მუშაობას საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნისათვის, ამასთან ერთად წარმოადგენს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას, როგორც საბჭოთა ქვეყნის ახალი კულტურის უდიდესი ზრდის მაჩვენებელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სოციალიზმის დიდ ქვეყანაში შეიძლება მოწვეულ იქნას ასეთი ყრილობა — ახალგაზრდა, სწრაფად მზარდი, იდეურის მხრით მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე ლიტერატურის შემქნელთა და შემოქმედთა ყრილობა.

გადახედეთ, როგორია ლიტერატურის მდგომარეობა კაპიტალიზმის ქვეყნებში, ლიტერატურის, რომელსაც აქვს განვითარების და კულტურულ ღირებულებათა დაგროვების საუკუნოებრივი ისტორია და რომლის განკარგულებაშიც მოიპოვებიან მეცნიერთა, მწერალთა და პოეტთა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კადრები.

საშუალო საუკუნეების მოვიზგიზე კოცონები, რომლებზედაც სწვავენ საუკეთესო კლასიკურ და ყველაზე უფრო მოწინავე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს, ომის და რასიული სიძულვილის ქადაგება გასისხლიანებული ნაჯახის ქება-დიდება — აი ფაშისტური კულტურის „აყვავების“ მკაფიო მაჩვენებლები.

აზრის, შინაარსის და ფორმის ლპობის და რღვევის აშკარად გამოხატული პროცესი, ჭმუნვის, სასოწარკვეთილების, გამოუვალი ჩიხის იდეებისა და განწყობილებების საყოველთაო გავრცელება, აშკარა პორნოგრაფიის აყვავება ახასიათებენ კაპიტალისტური ევროპის ოდესღაც ბრწყინვალე და მდიდარი ლიტერატურის მდგომარეობას.

კაპიტალიზმის მწუხრი, მისი საშინელი კრუნჩხვა — აუცილებელი აღსასრულის მრისხანე წინამორბედნი, მისი საომარი ისტერიკა — გადაიქცენ ბურჟუაზიული ლიტერატურის მწუხრად, კრუნჩხვად, ისტერიკად. და შემთხვევითი როდია, რომ უცხო ქვეყნების ყველაზე უფრო ნიჭიერი, ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი და პატიოსანი მწერლები მოილტვიან საბჭოთა კავშირისაკენ, აქ ეძებენ პასუხს „წყეულ კითხვაზე“ და ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებაზე სწავლობენ კაცობრიობის ისტორიული გზების შეცნობას.

გამარჯვებული პროლეტარიატის უდიდეს საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრება მჩქეფარე, ლაღი და მაღალი იდეებით აღსავსეა. მძლავრად იზრდებიან საზოგადოების განთავისუფლებული საწარმოო ძალები; ყველა სიძნელის და დაბრკოლებათა გადალახვით პროლეტარიატმა შექმნა მოწინავე სოციალისტური მრეწველობა და მსოფლიოში ყველაზე დიდი სოფლის მეურნეობა, ამასთან იგი აერთიანებს მრავალერიან ხალხთა მასებს და ფართოდ შლის კულტურულ მშენებლობას. სწორედ ამიტომ იზრდება და მტკიცდება პროლეტარული ლიტერატურა, სწორედ ამ ბაზაზე მოხდა უპარტიო მწერალთა მასების მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

პროლეტარიატი, ახალგაზრდა, მხნე, შემოქმედებითი სიხარულით და ამოუწურავი ძალებით აღსავსე კლასი — მხოლოდ იგი წარმოადგენს ჩვენს ეპოქაში ახალი კულტურის, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის, მაღალი იდეებით აღსავსე ხელოვნების მატარებელს. მხოლოდ მისი ბატონობა უზრუნველყოფს ნამდვილ პროგრესს კაცობრიობის კულტურის ყველა დარგში. და არავის არ ეჩვენება უცნაურად, რომ მწერალთა ყრილობას — ამზადებს მთელი ქვეყანა. პარტაქტივის, მუშათა და კოლმეურნეთა ათობით და ასობით კრებებზე, პარტიულ კონფერენციებზე და მუშათა, კოლმეურნეთა და წითელარმიელთა ლიტერატურულ წრეების წევრთა მრავალათასიან მასებს შორის ხდება ლიტერატურის საკითხების განხილვა.

მასები მოითხოვენ საერთაშორისო პროლეტარიატის გმირული ბრძოლით, სოციალიზმის გამარჯვების პათოსით გაჟღენთილ მაღალ მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც გამოხატავს კომუნისტური პარტიის უდიდეს სიბრძნეს და გმირობას. მათ უნდათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც მკითხველს აგრძნობინებს დიდ მხატვრულ სიამოვნებას, წარმოშობს სამხიარულო და ბედნიერ გრძნობებს, სიამაყეს ჩვენი ისტორიული საქმისათვის, დახმარებას გაუწევს მათ ბრძოლასა და შენებაში, ჩვენი ნაკლის და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვაში. ამაშია სოციალიზმის მხატვრული ლიტერატურის უდიდესი დანიშნულება.

ჩვენი მწერლები საკავშირო ყრილობაზე მოდიან მრავალი წარმატებებით და გამარჯვებით. საბჭოთა მწერლები ლიტერატურის საშუალებებით უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან სოციალიზმისათვის ბრძოლაში, უფრო და უფრო ხშირად გამოდის მკაფიო და ნიჭიერი ნაწარმოებნი, რომლებშიც სწორად არის გაგებული და მხატვრულად განხორციელებული სოციალიზმის მშენებლობის იდეა და პრაქტიკა.

ათობით და ასობით მწერლები შეიჭრენ ცხოვრების თვით სიღრმეში, აგროვებენ ცხოვრების გამოცდილებას და მასალას თავისი ნაწარმოებებისათვის, ამასთან ისინი უშუალოდ უახლოვდებიან ჩვენი ეპოქის ახალ შესანიშნავ ადამიანებს — მებრძოლებსა და მშენებლებს. კომუნისტი — მწერლები შემჭიდროვებულად მოდიან ყრილობაზე და, როგორც ეს აღნიშნულია „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ამხ. იუდინის წერილში, შემოქმედების მხრივ მოწიფებულ ძალას წარმოადგენენ.

მძლავრ ნაკადად მოდიან ლიტერატურაში ახალგაზრდა ძალები მშრომელთა რიგებიდან, ცდილობენ დაძაბულ სწავლაში დაეუფლონ ლიტერატურული ოსტატობის მწვერვალებს. ახალი ნიჭიერი ადამიანებისათვის, რომლებიც კულტურული რევოლუციის გაქანებით წარმოიშვენ ხალხთა მასებიდან, შექმნილია სწავლის და შემოქმედების ხელსაყრელი პირობები.

მტკიცდება და აქტიური ხდება კავშირი მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატურას შორის. ისტორიაში უმაგალითო პირობებია შექმნილი იმ ხალხთა ლიტერატურის თავისუფალი განვითარებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩაგრავდა ცარიზმი, ფორმით მრავალერიანმა, სოციალისტური მშენებლობის სამსახურისადმი მისწრაფებაში მთლიანმა ჩვენმა ლიტერატურამ უკანასკნელ დროს სერიოზულად დააყენა მწერლის სწავლების კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების საკითხები, მკაფიო, ლამაზი და ზუსტი ენის საკითხები — ლიტერატურის ხარისხის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ჩვენი ქვეყნის უდიდესმა მწერლებმა უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ წარმატებებს მიაღწიეს თანამედროვე კულტურის — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ფილოსოფიის მწვერვალების დაუფლების საქმეში.

მაგრამ ჩვენი ლიტერატურა მაინც ვერ უპასუხებს მთლიანად იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს სოციალიზმის ეპოქა, რომელიც ყოველ საათობით აფართოვებს მკითხველთა მილიონების კულტურულ მსოფლმხედველობას. სოციალიზმის ეპოქა და მისი ადამიანები გაუმაძღარი არიან თავისი მოთხოვნილებებით მეცნიერებისა და ტექნიკისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. ვინაიდან ისინი ახდენენ მსოფლიოს გარდაქმნას და პოულობენ ადამიანის მოღვაწეობის ყველა ფორმის სრულყოფის დაუსრულებელ გზებს.

ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდე ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ჩამორჩება საბჭოთა კულტურის სხვა დარგების ზრდასთან შედარებითაც. მას ჯერ კიდევ არ შეუქმნია ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოებნი, გამარჯვებული სოციალიზმის ძალებისა და ადამიანების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის გმირებისა და წინამძღოლების შესახებ, იმ ახალი საზოგადოების ძლიერების შესახებ, რომელიც მოდის კაცობრიობის სისხლიანი და ჭუჭყიანი წინა ისტორიის შესაცვლელად, ნაწარმოებნი, რომლებიც შეაზანზარებენ ადამიანებს და კაშკაშა შუქურად აღენთებიან მათ შეგნებაში.

განსაკუთრებით სუსტია ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, რომელსაც ხშირად არ ძალუძს მიუდგეს წიგნს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს. კერძოდ, კომუნისტ-კრიტიკოსებს ყოველთვის როდი შესწევთ უნარი დაიყვანონ ნაწარმოების შინაარსი ფართომკითხველი მასების შეგნებამდე, გაშალონ მკითხველის წინაშე ლიტერატურული სახეობის აზრი, დაეხმარონ მას წიგნის სწორად შეფასებასა და ამორჩევაში და იქ, სადაც ეს საჭიროა, სასტიკ წინააღმდეგობა გაუწიონ კრიტიკის უმართებულო, არამარქსისტულ ტენდენციებს. ამგვარადვე ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ამჩნევს უცხო და მტრულ ტენდენციებს, რომლებიც გამოსჭვივიან ჩვენი ლიტერატურის ცალკეულ ნაწარმოებებში — ტენდენციებს, რომლებსაც ნიღბავენ ხან ათასგვარი სიტყვიერი ხრიკებით, ხან ვულგარული შემგუებლური პოლიტიკური რახა-რუხით.

ჩვენმა პარტიამ და ამხ. სტალინმა საბჭოთა ლიტერატურას უჩვენეს ის გზები, რომლებზედაც მას მოელის უდიდესი მიღწევანი და გამარჯვებანი, — ეს არის სოციალისტური რეალიზმის — საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის და ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი მეთოდის — გზები. სოციალისტური რეალიზმი მხატვრისაგან მოითხოვს სინამდვილის სწორ, ისტორიულად კონკრეტულ გამოხატვას მის რევოლუციურ განვითარებაში.

ჩვენს პარტიას პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით მშრომელებისათვის მოაქვს ყველაზე უფრო პროგრესიული და რევოლუციური მსოფლმხედველობა — ლენინიზმი. სოციალისტური რევოლუციის გუთნებით გადახნული ჩვენი ქვეყანა ყოველდღე წარმოშობს ახალ ნიჭიერ ადამიანებს, იგი ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილს უნერგავს მშენებელთა და შემოქმედთა უდიდეს მასებს. განა შეიძლება ეჭვი, შევეპაროს იმაში, რომ ჩვენი ლიტერატურა რომელიც განუწყვეტლივ იზრდება და ყვავის, გადაჭრის მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

მწერალთა მომავალი ყრილობა იქნება ამ ზრდის მძლავრი სტიმული, გამოსავალი წერტილი სოციალისტური ლიტერატურის ახალი მიღწევებისა და გამარჯვებებისათვის. ამაშია მისი ნამდვილი მსოფლიო მნიშვნელობა.

წარმატებით ხორციელდება ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც დაწერილია თითქმის 30 წლის წინად.

„ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელთა თანაგრძნობა მიიზიდავენ მის რიგებში ახალ და ახალ ძალებს. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი მომსახურეობას გაუწევს არა გულმოყირჭებულ გმირ ქალს, არა სიმსუქნისაგან მოწყენილობით და კაეშნით შეპყრობილ „ზედაფენების ათი ათასობით წარმომადგენელს“, არამედ მშრომელთა მილიონებს და ათეულ მილიონებს, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მარილს, მის ძალას, მის მომავალს“.

# ყრილობა იხსნება 15 აგვისტოს

საბჭოთა მწერლობის პირველი საკავშირო ყრილობა იხსნება მოსკოვში ა.-წ 15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე.

ყრილობა შედგება კავშირების სასახლის საზეიმო დარბაზში და გაგრძელდება 11—12 დღეს. ყრილობა პირველ დღესვე შეუდგება საქმიან მუშაობას:

15 აგვისტოს მოსმენილი იქნება **ა. მ. გორკის** მოხსენება საბჭოთა ლიტერატურის შესახებ.

16 აგვისტოს ყრილობის დელეგატები მოისმენენ **ს. მარშაკის** თანამოხსენებას საბავშვო ლიტერატურის შესახებ და თანამოხსენებებს ნაციონალურ რესპუბლიკათა ლიტერატურის შესახებ. (უკრაინა, საქართველო, ბელორუსია, სომხეთი, აზერბეიჯანი, უზბეკისტანი, თურქმენისტანი და ტაჯიკისტანი). **ა. მ. გორკის** და ყველა თანამოხსენების შესახებ გაერთიანებული კამათი გასტანს 2—3 დღეს.

შემდეგ ყრილობა მოისმენს მოხსენებებს საერთაშორისო მხატვრული ლიტერატურის შესახებ (მომხს. ამხ. **კარლ რადეკი**), საბჭოთა დრამატურგიის შესახებ (მომხსენებლები — **ვ. კირპოტინი, ალ. ტოლსტოი, ვ. კირშონი ნ. პოგოდინი**), საბჭოთა პოეზიის შესახებ (მომხსენებლები — **ნ. ი. ბუხარინი და ნ. ტიხონოვი**), ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის შესახებ (მომხსენებლები — **ვ. სტავსკი და კ. გორბუნოვი**), საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების შესახებ (მომხსენებელი — **პ. იუდინი**). დასასრულ მოხდება არჩევნები საბჭოთა მწერლების **კავშირის ხემძღვანელ ორგანოებისა.**

დამტკიცებულია საბჭოთა მწერლების ყრილობის ორგკომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. **პ. იუდინი, ვ. კირპოტინი, ვ. სტავსკი, ა. ფადეევი, ვს. ივანოვი, ი. მიკიტენკო, ი. კულიკი, ნ. კლიმოვიჩი, ნ. ტიხონოვი, მიხ. კოლცოვი, ი. ალტმანი, დ. ლიაკევიჩი და ი. ხაპალოვი.**

---

სულ ყრილობაზე იქნება 500 დელეგატი, 325 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, დანარჩენი სათათბიროთი.

# ლიტერატურულ ფონდის შესახებ

## ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ს. ს. რ. კ. საბჭოთა მწერლების კავშირთან შეიქმნას განსაკუთრებული ორგანიზაცია ლიტერატურის მუშაკთა დახმარების აღმოსაჩენად „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურული ფონდი“-ს სახელწოდებით.

2. „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურულ ფონდი“-ს ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს ს. ს. რ. კ. საბჭოთა მწერლების კავშირის წევრებს მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, აგრეთვე დახმარება აღმოუჩინოს მზარდ მწერალთა ახალ კადრებს მათთვის საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით.

3. „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურული ფონდი“-ს საქმიანობას ახორციელებს მისი გამგეობა, რომელსაც ნიშნავს ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

4. „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურული ფონდი“-ს სახსრები იქმნება:

ა) მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობათა და ჟურნალების რედაქციების მიერ შემოტანილი გამოსაღებებით, რაც უდრის 10% საავტორო ჰონორარის თანხისა, რომელიც გადახდილია ორიგინალურ და გადათარგმნილ მხატვრულ ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის.

ბ) სანახაობითი დაწესებულებებისაგან მიღებული ანარიცხებით — სპექტაკლების მთლიანი შემოსავლის (სპექტაკლური ანარიცხები) 2% რაოდენობით დიდი სცენის სპექტაკლებიდან და 1/2%—მცირე ფორმის დადგმებიდან (სკეტჩი, ერთაქტიანი ვოდევილი და სხვა).

გ) საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა მიერ სპეციალურ გამოსაღებით, რომლის რაოდენობაც კავშირის წესდებით განისაზღვრება.

დ) „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურული ფონდი“-ს კუთვნილი ქონებისა და კაპიტალებისაგან მიღებული შემოსავლით.

ვ) ს. ს. რ. სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველ წლიურად გამოყოფილ თანხებისაგან 25% რაოდენობით იმ საერთო ჯამის მიხედვით, რომელიც შემოდის „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კავშირის ლიტერატურულ ფონდში“ სხვა წყაროებიდან.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პარაგრაფებით გათვალისწინებული გამოსაღებები და ანარიცხები შეტანილ უნდა იქნას „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურულ ფონდში“ 1934 წლის პირველ აგვისტოდან.

5. ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურული ფონდი“ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

6. „ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურული ფონდი“-ს წესდებას ამტკიცებს ს. ს. რ. კ. კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წარდგენით ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭო.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი.**

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**ი. მიროშნიკოვი.**

მოსკოვი, კრემლი, 1934 წ. აგვისტოს 28-ს.

**1 მილიონი ლიტერატურის ფონდში.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა—ს. ს. რ. კავშირის ლიტერატურულ ფონდისთვის გამოჰყოს 1934 წელს ერთი მილიონი მანეთი,

---

სოლომონ თავაძე

# ტელმანს

ბებერი მგელი — კანონმდებელი სისხლით და რკინით
არის თამადა დღეს თქვენს ზეიმზე.
ანთებს კოცონებს მეფისტოფელის ბოროტი ლხინი...
და მაინც მღერის ბოროტი ბრძოლის, მღერის ჰეინე!

აჰა, ჩაიწვა წიგნების გროვა,
დაჰბერა ქარმა, ცის ტატნობამდე ავარდა მტვერი
და ძეგლებს შავად გადმოათოვა...
მაგრამ ამ ფერფლში პოეტი მაინც ძლევის ჰანგს
მღერის!

თქვენ თვალს გიბრმავებთ, ვით ზარნაშოებს,
ამომავალ მზის შარავანდედი — სახე მარქსისა,
მაგრამ კოცონი განადგურებას ვერ აგაშორებსთ
და წინსვლის კარებს ვერ გადაჰფისავთ!

თქვენ, მომავალი შავ უფსკრულებად რომ გეზმანებათ,
(ლეღინჩის, ჰგოდებს შპლეინგლერი, ჰგოდებს დაისზე)
ასი ათასი მებრძოლ ტყვეების გატკბობსთ წამება,
რომ გერმანია მსუქან ლორების იყოს საჯიშე.

ჰქელავთ და მაინც არ გაისრისა...
მოჰკალ ტელმანი! მოჰკალ! — გაჰკივით თქვენ
მრისხანებით.
მაგრამ სადღაა კუთხე მიწისა,
რომ არ იბრძოდენ დღეს ტელმანები!

ტელმანი იბრძვის, სადაც ერები
ამსხვრევენ ხუნდებს,
სადაც მაშვრალნი მძლე სიმღერებით
ძაბავენ კუნთებს,

რომ უსაზომო თავგამეტებით
გაშალონ რაზმი და გადალახონ გზათა მწვერვალნი,—
და ენთებიან შემოქმედებით,
რომ მათთან ერთად ხმალშემართული იბრძვის
ტელმანი.

ტელმანის დროშა ათასეულებს რაზმავს პარიზში,—
ეს ასპარეზი
მოკირწყლულია კომუნარების ძვლებით და სისხლით...
ცად აწვდილ კოშკებს, გახვეულთ ნისლში,
გარს აწყდებიან რადიო-ხმათა ჭექა-ელვანი,
რომ ლონდონისკენ დამშეულთ ლაშქარს უძღვის
ტელმანი.

ტელმანის სიტყვა მიარღვევს ყველა მერიდიანებს
და ვით ოცნება, ნარიჟრაჟალი,
მზის ღიმილივით გადმონაშალი,
წინ გაიტაცებს — მწვავე ბრძოლის ჟამს ვინც იგვიანებს.

ტელმანს უსმენენ რომში, ვენაში და ტოკიოში,
ტელმანის გული მილიონების გულებს აძგერებს,
და ყველა ჩაგრულს მთელ მსოფლიოში
საერიშო ჰანგზე ამღერებს,
რომ გადაბუგონ ხავსმოდებული
ყველა ძველმანი...
და მათთან ერთად გულანთებული
იბრძვის ტელმანი!

ჟამი გიხმობდა შენ ჩაგრულთა გულმტკიცე სარდალს,
ჟამი გელოდა და ბასრ ელვით სერავდა სივრცეს,
ჟამმა უამრავ ბრძოლის გმირთა იმედად გზარდა
და მოგანიჭა უძლეველი ნება და სიბრძნე.

ყოველს, ოდესმე რაც გზნებულა სწრაფვა ნათელი,
მტარვალის ხელით რომ ახშობდა ბნელი წარსული,
შუქურ ვარსკვლავად აციმციმებს შენი სახელი,
მსოფლიო დროშის ბრწყინვალეიით შემონაკვთული.

შენი გზა მზიურ მწვერვალისკენ მიიმართება
და ცამდე ადის სხივმოსილი საფეხურები,
სად ნორჩ სიცოცხლის ღიმილივით აელვარება
შუქი, მომავლის თვალთა ელვით მონახხურები.

და როცა მტრებმა გადარაზეს ბნელ საკნის კარი
და დამცინავი დაიკლაკნა მათ თვალში გველი,
ამ ველურ წამში დავიწყდათ, რომ შენში არის
აღმავალ კლასის რწმენით სავსე მედგარი მცველი.

მაშ აბა სცადონ სასიკვდილო ცეცხლის დანთება,
რომ იქადიან ქედმაღალნი ჯალათურ კვეხნით,—
და მაშინ მათი ნიადაგი დატორტმანდება,
თავს დაატყდებათ შემმუსვრელი რისხვა და მეხი!

---

ვარლამ ყურული

# ანთებული რიონი

შენ თოვლიან ციცაბოდან
მოშხუი და მორბი,
შენს სათავეს გადაწვივის
ფრთაგაშლილი ორბი:

— ვინ რა იცის, ჩემო კარგო,
ბობოქრობა გინდა,
როცა წევხარ კალაპოტში
სარკესავით წმინდა!

—:—

შენ ანკარა ცრემლები ხარ
ღრუბლისა და ლოდის,
შენი ტალღა კოლხიდაში
სათარეშოდ მოდის.

შენ ხარ მთელი კავკასიის
კალმახებით კერა,
კლდის აკვანმა შეგაყვარა
ჩახჩახური ბგერა.

—:—

რომ იჩქარი, რომ მიილტვი
აქაფულო ზვირთო,
ახლა ხევში თქარათქურით
თავს ამაოდ ირთობ!

ვიცი, მალე დაიმტვრევი,
შენც გახდები წყნარი,
წინანდელ სულს ვერ ჩაგიდგამს
კლასიკური ქნარი.

—:—

მაშ დადუმდი მდინარეო!
მათქმევინე რამე,
შენი შუქით გადამწვარა
იმერეთის ღამე.

ჯებირის წინ გელუპება
დგაფუნით და ძგერით
ლეჩხუმიდან შავი ზღვისკენ
გაქცეული ჩქერი.

—:—

ჯებირის წინ გინელდება
ჩქაფანი და ღელვა,
ახლა შენც კი გენათება
შენი წყალის ელვა.

რომ აუშვი ელსადგურის
უთვალავი ცხენი,
სინათლის ქვეშ შრიალებენ
სალორიის ხენი.

—:—

წყალწითელას წისქვილებთან
ცალი ტოტით მიდი,
ტოტი ტყდება... გვირაბშია...
უკან რჩება ხიდი...

უკან რაჭის ნაძვებია
და ფერადი მდელო,
სადაც ხშირი წყალდიდობით
შენ გაგქონდა ლელო.

—:—

შენ მთა-და-ბარ გაშხუილებს
კავკასიის ქედი,
ელექტრონმა გადასწყვიტა
შენი ტალღის ბედი.

შენი ზვირთი იკუმშება
კაშხალების შიგნით,
ტურბინიდან რომ დაიძრეს
ჯულაშვილის წიგნით.

—:—

შენს სათავეს გუშაგობენ
ღრუბლები და ორბი,
შენ პიტალო ფრიალოდან
კოლხიდაში მორბი.

წინ ანთია ქალაქები,
ორპირი და ფერო,
გარბიხარ და, მიგაცილებს
უბინაო წერო.

ვასო გორგაძე

## ჩელუსკინელებს

შორს, ყინულებში, გადაკარგული
ებრძოდით: ლამბს, სიკვდილს, ქარიშხალს,
ზეგნური გრძნობით ფრთამომართული
ვაჟკაცურ მკერდზე ზვავად დაიმსხვრა.

მაგრამ შეზრული [illegible] ტალღა
თქვენს წინ დამარცხდა [illegible] მიწვა
და [illegible]
თუ რა გმირებს ზრდის საბჭოთა მიწა.

ახლაც მიცურავს ბანაკი, ალბად,
[illegible] სისხლისფერ დროშით
და [illegible] გმირობის ამბავს
მოუთხრობს ყველას, მთელ მსოფლიოში.

შალვა აფხაზი

## ჰაიმე

კრძალვით იღება ეს ჩემი კარი
და შემოდიხარ წამწამ შრიალით.
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

მანიხვაირი.

გალე ბოწოხიძე

## საკუთარ გზით

მივყვებოდი მოვარდნილ ბილიკს
და წინ ჩქეფდა ჩანჩქერების ღელე.
ბიბინებდა ხავერდოვან რბილი
გრილ მინდვრებზე ჯეჯილების ღელე.

[illegible]

გაზაფხულის მდელოსავით რბილი
ქვეშ ვარდებათ მეგზურიან ახლა.

—

სარკესავით მივყვებოდი ბილიკს,
სადაც ჩქეფდა ჩანჩქერები ბროლი,
ბიბინებდა ხავერდივით რბილი
გაზაფხული აყვავებულ მოლით...

მიქელ პატარიძე

## ჩვენი ეზო

პოემის შესავალი

[illegible]

და გადიხოვლა ვით შელი მუხთი.
მაგრამ ამ მაღალ ლაჟვარდის თალ ქვეშ,
იზრდება ახალ ცხოვრების ვარდი,
და თუმც ბულბული დაშორდა ბაღებს,
მაინც გავაღე ამ ბაღის კარი;
რომ ვსთქვა სიმღერა, რომელიც არღვევს,
ზეცას შებურულს ღრუბლების დარდით,
როგორ ეძრება ცხოვრებას დაცდილს,
ახალ ცხოვრების ახალი კაცი.

კონსტანტინე გამსახურდია

# გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

(ამხ. ქ. ორაგველიძის წერილის გამო).

უკვე მეცამეტე წელია, რაც საბჭოთა საქართველოს ლიტერატურის ასპარეზზე ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში მრავალთა მიერ მრავალი რამ დაწერილა ჩემი იდეებისა და მუშაობის გამო, მაგრამ იშვიათად მომდომებია: კრიტიკოსებისათვის პასუხი გამეცა.

ან რა აზრი აქვს ისეთ კრიტიკას, როცა იდეების ნაცვლად ლანძღვას შემოგაგებებენ? საღი კრიტიკის მაგივრად, უნიათო სისინს.

დღედაღამ ებრძვის პოეტი სიტყვების მასსას, როგორც მოქანდაკე—მარმარის ლოდებს, ან ქვის მკოდავი — ქვებისას.

და ამ მძიმე შრომისას „გამარჯვებაც" თუ არ მოგაძახეს, ეს ფრიად ძნელია, ძნელი...

კრიტიკა პოეზიისათვის მაშველი დარგია. კრიტიკას მხოლოდ მაშინ აქვს რაიმე მნიშვნელობა, უკეთუ კრიტიკოსი სიყვარულით თუ არა, ელემენტარული პატივისცემით მაინც განიმსჭვალება შენი საქმისადმი და ამხანაგურად გაგესაუბრება. გაგესაუბრება და გეტყვის: აი ესა და ეს ასე უნდა გეთქვაო, მავანსა და მავან მოვლენას ამრიგად უნდა შეხებოდიო.

როგორც პოეტის, ისე არაპოეტის მიმართ უნდა ითქვას: ვიდრემდის ადამიანს ზურგზედაც არ გამოესხმება კიდევ ერთი წყვილი თვალი, ყოველი ადამიანი, ერთხელ მაინც შეცდება უთუოდ.

ვინც არ შემცდარა, იმას არა შეუქნია რა, და ვინც არა სცდება, იგი სასაფლაოზეა ამჟამად. და ყოველი კაცი სასტიკად რომ განვიკითხოთ, საეჭვოა, ვინმეს რომ ასცდეს წნელი.

დამეთანხმებით: თუ შემომქმედი პირუთვნელად, უანგაროდ მუშაობს, უთუოდ მძიმეა მისი ტვირთი და მოვალეობა **და მე უნდა მოგახსენოთ, მწერლობაზე უფრო მძიმე მოვალეობა, ძნელად გამოიძებნება, განსაკუთრებით ჩვენს დროში.**

მე პირადად ასე ვფიქრობ: ეს კაპიტალისტური ცივილიზაციის წყევლაა: პროფესიად რომ გადაგვექცა მწერლობა. ამიტომაც მომრავლდა ანგარებისათვის აღტყინებული ხალხის ლიტერატურა, ამიტომაც მოზღვავდა მაკულატურა.

ის მწერლობა არაფრად ვარგა, სადაც დიდი სიწრფელე არაა. ეგ. ნინოშვილის საიუბილეო საღამოზე განვაცხადე და ახლაც ვიმეორებ: ხამს მწერალმა მხოლოდ ისეთი რამ დასწეროს, რისთვისაც ხმლის მოქნევას შესძლებს მეთქი: სხვა დანარჩენი მლიქვნელობაა და უნიათო მაკულატურა.

ყოველი ოსტატი, თუ იგი მართლაც ოსტატია, უთუოდ ჭირვეულია და ცხადია: ოსტატი ხელაღებით ვერ მოითმენს არაოსტატის მიერ წარმოებულ განუკითხავ კრიტიკას, თუ ამ კრიტიკაში მაშველის და ამხანაგის სიწრფელე არ ურევია.

ეს რომ გაეგო ზოგიერთ კრიტიკოსს, უთუოდ ბევრი რამ უკეთ წარიმართებოდა საბჭოთა ლიტერატურაში.

მე არ ვეკუთვნი კატეგორიას იმ ადამიანებისას, ხიდის ყურეში მიმდგარ ჯორის დარად რომ გაჯიქდებიან. არც ხიდზე გადასვლას ინდომებენ, არც უკუქცევას, მაგრამ არც ის ადამიანები მომწონს, მოედანზე რომ გამოვლენ ხელაღებით, თავზე ნაცარს დაიყრიან და ასე მოსთქვამენ: მე რეგვენი ვიყავი და მთელი ჩემი ცხოვრება და აზროვნება ერთი უშველებელი შეცთომა იყოო.

შეცთომების აღიარება უთუოდ კარგია, მათზე მართებული მითითება მით უფრო მარგი.

როგორც ადამიანს, როგორც პოეტს, მეც მრავალი შეცთომა მიმიძღვის ამ ქვეყნად. ადამიანური, ლიტერატურული და სხვ. ეს წინადაც ვიცოდი, ხანდახან მაბრაზებდნენ და ვსდუმდი...

მე არ მეშინია მათი აღიარებისა, მხოლოდ იმ შეგნებით, რომ მე ყოველი მათგანი **სავსებით** უანგაროდ მიტარებია და ყოველი მათგანი წრფელი, სპეტაკი და უანგარო სიყვარულის აფრას აყოლილს ჩამიდენია.

ჩვენ პოეტები მაინც და მაინც ვერ დავიქადნით: ესაო და ჩვენი ლოგიური კონცეპციები უთუოდ ეჭვმიუტანელიაო. რადგან ჩვენდა საუბედუროდ (თუ საბედნიეროდ), ჩვენ გონების ლარი და ხაზი როდი გვიჭირავს ხელში, არამედ გრძნობა აყოლილი ხალხი ვართ. გრძნობა და ლოგიკა მარადის გესლავენ, ებრძვიან ურთიერთს. ისიც მოხდება ხოლმე გრძნობა მიმინოს სისწრაფით ლოგიკას გაუსწრებს, მაგრამ არც ისაა შეუძლებელი, ლოგიკამ გრძნობას რომ გადაასწროს ჟამიდან ჟამზე.

1. ამხანაგი ორაგველიძე უწინარესს ყოვლისა მე ბრალსა მდებს: **იდეალისტი და მისტიკოსიაო.** მას ამ შემთხვევაში ორი ჩემი წიგნი აქვს აღებული: „დიონისო" და „მარცხენა თვალით".

მე გაზრდილი ვარ ძალიან კონსერვატორულ კულტურების ატმოსფეროში, გერმანული იდეალიზმისა და იტალიურ-გერმანულ მისტიკის ზედგავლენის ქვეშ. თავისთავად ცხადია, მე არ შემეძლო ჩემი შემოქმედების პირველსავე პერიოდში ერთი დაკვრით შემომებერტყნა ყოველივე, რაც 10 წლის განმავლობაში შემიგრძვნია, შემიცვნია და შემისწავლია ჩემი განსწავლისა და მგზავრობის წლების მანძილზე. ეს რომ ჩამედინა, მაშინ ხელში შემრჩებოდა მარტოოდენ ის მარაგი, რომელიც ჩვენი სოფლის დიაკონმა მასწავლა შვიდი წლის ბიჭუნას და ჩემმა მასწავლებელმა გადმომცეს საშუალო სკოლაში. მაშინ მე არც მწერალი ვიქნებოდი, არც მოაზროვნე, არამედ უბრალო მოხელი, ან ისეთი კაცი, რომელიც ისე დასწერს, როგორც მას უბრძანებენ.

მართლაც და ადრიან სიჭაბუკეში მე ფრიად სერიოზული გატაცებანი მქონდა ამ მხრივ. იტალიაში მოგზაურობის დროს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კათოლიკურმა კულტურამ ჩემზე, ლამის არ იყო ბერად აღვიკვეცე.

გარდა ამისა, ჩემი პროფესორები და აღმზრდელები უკონსერვატორესი კაცები იყვნენ. მეტწილად პრუსსიელი მონარქისტები, პანგერმანისტები და ურანაციონალისტები. მათ ბევრი მეგშეს, ბევრი მარყიეს, **მაგრამ მონარქისტი მაინც ვერ გამხადეს.** ეს მათ გამატარეს პირველად შრომის უსასტიკესი დისციპლინის ორმაგ ცეცხლში. არც ბერად აღკვეცილვარ როგორც ხედავთ, დანტეს ბიოგრაფია დავსწერე (და ამ შრომაში კრიტიკულად შევხედე კატოლიციზმს) და დანტეს ტერცინები ქართულად ვთარგმნე. (ვწუხვარ, ეს შრომა რომ არ გაითვალისწინა, ამხ. კ. ორაგველიძემ).

ბოლოს და ბოლოს ბოლშევიკებს კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც ჰყავთ ისეთი მწერლები, რომელნიც ათასგზის ჩემზე უფრო მისტიკოსებია, მაგრამ საბჭოთა კავშირის მეგობრებად ითვლებიან. მე დავასახელებ ანდრე ჟიდს, უდიდესს მწერალს დღევანდელი საფრანგეთისას და ეს ულტრამისტიკოსი პოეტი ამასწინად ბოლშევიკებს გამოექომაგა. რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირის მწერალს მეტი მოეთხოვება. უახლეს ქართულ მწერლობაში **მე მომიხდა დასავლეთის პოეზიის კლასიკურ ფორმების შემოღება.** შემთხვევითი მოვლენა არაა: მე თარგმანებითაც ამ მიმართულებით რომ ვმუშაობ. **კლასიკურ ფორმებს კლასიკური ინვენტარიც თან მოჰყვება.** ღმერთი, აპოლონი, ანგელოსი, ეროსი, სატანა, ნიმფა, ჭინკა, სატირი, კენტავრი და სხ. დასხვ. მაგრამ ესენი შინაარსგაცლილი ცნებებია, მიამიტ კრიტიკოსს კი ჰგონია: ავტორს ეს ყოველივე სწამსო.

გარდა ამისა, მისტიკა ბუნების იდუმალებით გაოცებაა და არა რელიგიური კლერიკალიზმი. მისტიკოსები ჯერ კიდევ ძველად, ქრისტეანულ ეკლესიებიდან განდევნილი ღვთის მგმობელნი იყვნენ, და მისტიციზმი და კლერიკალიზმი არასოდეს ერთი და იგივე არა ყოფილა არსად. მთელი ბუდისტური და ბრაჰმანისტური მისტიკა სავსებით უგულებელჰყოფს ღმერთს, როგორც სუბსტანცს.

2. **გაცილებით უფრო მძიმე ბრალდებაა რასიული თეორიის ამბავი.** ამ თეორიის გავრცელებას ჯერ კიდევ 1918 — 19 წლებში ვეწეოდი, რა თქმა უნდა, მე არ დამესიზმრებოდა რომ გერმ. ფაშისტებიც ამ თეორიას დაადგებოდნენ. ეს ეპიგონობის პერიოდი იყო ჩემს აზროვნებაში (და იგი ვინც ვინმეს შეგირდი არა ყოფილა, იგი ვერც ოსტატი გახდება ოდესმე). მე იმ ხანებში პანგერმანისტი ფილოლოგების, ნაციონალისტი ისტორიკოსების, იმპერიალისტი პოეტებისა და ფილოსოფოსების სმენისაგან გაბრუებული ვიყავი. ჯერ კიდევ ჭაბუკს საკუთარი აზროვნებისა და სხვისგან ნასწავლის მონელების უნარიც არ გამაჩნდა. 1918 წელს „სახალხო საქმეში" გამოვაქვეყნე ფელეტონების სერია: „ერი და რასსა". „დიონისოს ღიმილიც" იმ ხანებში მწიფდებოდა ჩემში და შესაძლოა ცალკეული განწყობილებანი იქაც ეროის. (და გზა იგი უკვე განვლილია ჩემს მიერ. ხოლო დიონისოს მე ვაფასებ მარტოოდენ როგორც განსაზღვრული ოსტატობის ნაყოფს.).

პოლიტიკურად მე მაშინ საქართველოს ისტორიულ სამზღვრებისაკენ მეჭირა თვალი, ჭანეთის შემოერთება ვიქადაგე 1917 წელს, დიდ საქართველოსათვის ოცნებას აყოლილმა. (იხ. ჩემი ჟურნალი „პრომეთე" № 1. ტფილისი 1917-18.).

ჩემი მასწავლებლები და იდეური ინსპირატორები დიდი პანგერმანისტები იყვნენ. ლიტერატურაში ჰუსტონ სტევარტ, ჩემბერლენ, ნიცშე, გრაფ ჰერმან კაიზერლინგ, ადოლფ ბარტელს, შიმან და სხვანი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ ჩემს ჭაბუკურ აზროვნებაზე.

ზოგიერთს ჰგონია: რასსიული თეორია ადოლფ ჰიტლერმა მოიგონაო. ეს არაა სწორი.

პანგერმანისტებს დასჭირდათ ცნება: „არიელის" გამოგონება. ეს იყო უბრალო საფარველი. მათ ეს უნდოდათ: გერმანული იმპერიალისტური პოლიტიკისათვის რაიმე სარჩული გამოეძებნათ, ე. ი. „არიელთა" — **წმინდა სისხლის გერმანელთა, არა გერმანელებზე გაბატონების იდეა გაემართლებინათ მეცნიერულად.**

ფილოლოგები, ლინგვისტები, დიდი ისტორიკოსები დაფაცურდნენ. ქრისტეანობას ვერ გაემიჯნენ, მერმე მოსდგნენ და ამის მტკიცება დაიწყეს: ქრისტე რომელიღაც რომაელი მხედრის ბუში იყო და მწითური, გერმანული წვერები ჰქონდაო. (იხ. ჩემბერლენ: „მე-19 საუკუნის საფუძველნი". მისივე: „ცხოვრების გზები" და სხვ.

ამ ჩემს ჭაბუკურ გატაცებას ისიც ზედ დაერთო, რომ 1914 — 17 წლების მანძილზე საქართველო უდიდესს განსაცდელში იყო. რომანოვების რუსეთი პოლიგონს გვიმართავდა ქსნის ხეობაში. ტფილისი წაგვართვეს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, მთელი ქართლი დაგეგმილი იყო წინასწარ. მტკვრის გაღმა-გამოღმა მდებარე მიწებს სომხის პლუტოკრატები ყიდულობდნენ. ასე რომ კიდევ 10 წელი და საქართველოს ხსენება არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე. ამ წლებში მე უცხოეთში მოვხდი და როგორც წყალში ჩავარდნილმა, მეც სხვა ქართველებთან ერთად, ჩალის ღერს მოვებღაუჭე. ოსმალეთის, გერმანიის და ავსტრიის მთავრობებს დავუკავშირდით, ნიკოლოზ მეორის ჯარები უნდა გაგვეგდო საქართველოდან, გერმანელი პრინცი იოახიმ ჰოჰენცოლლერი ბაგრატიონების ნატახტარზე დაგვესვა. ეს იყო სასოწარკვეთილი და უსამშობლო ახალგაზრდების უნუგეშო ნუგე-

(დასასრული იხილე მე-6 გვერდზე)

სერგო კლდიაშვილი

## ვ ე ლ უ რ ი

ნაწყვეტი მოთხრობიდან.

მაიორ შაბუროვს მეგობარი აზნაური ესტუმრა. მას ახლდა შუახნის სვანი თამბი რატიანი. ეს უზარმაზარი კაცი, რომელსაც შაბუროვი ხალისით მიეგება, პირველ შეხედვისთანავე ეუცხოვა ადოლინს. როცა რატიანი გადმოვიდა თავის პატარა მთიულურ ზერდაგიდან, ადოლინს ეჩვენა, თითქო სვანმა გადმოაბიჯა ცხენს.

იმ ხნის განმავლობაში, სანამ მაიორის მეგობარი სვანი მისთვის ჩვეული ხალისით მუსაიფობდა, თამბი მუნჯათ იჯდა, თავდახრილი დასჩერებოდა იატაკს და ხელში გიშრის კრიალოსანს ათამაშებდა.

სტუმრები დიდხანს არ დარჩენილან. შორი გზა მოიმიზეზეს, მოიბოდიშეს და ცხენებზე შეჯდენ. ადოლინმა შენიშნა, რომ თამბი რატიანის ცხენის მოკაზმულობა მდიდრული იყო, საჰკერდე და აღვირი ვერცხლით შემკული ჰქონდა, უნაგირქვეშ ეფინა ყვითელი მაუდი მოქარგული და მოსირმული.

ცხენოსნები ფერდობს შეუდგენ. დიდხანს უცქირა მათ ადოლინმა, თვალი გააყოლა პატარა ზერდაგს და უკმაყოფილოდ გადაულაპარაკა შაბუროვს:

— საკვირველი კაცი მოიყვანა თქვენმა მეგობარმა. მე ის ნადირს უფრო მაგონებს!

— შეიძლება შენ მართალი იყო — გაუღიმა შაბუროვმა — მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ მის სამშობლოში მასზე სულ სხვა აზრის არიან. თავისუფალი სვანები დიდ პატივსაც სცემენ. ეს პატივცემა მან დაიმსახურა არა მარტო ვაჟკაცობით, არამედ ჭკუითა და შეუპოვრობით, რომლითაც იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებას. დიდიხანია ვცდილობდი მასთან დაახლოვებას, მაგრამ არ იქნა ვერაფერით მოვახერხე. ჩემმა მეგობარმა სვანმა მრავალი ცდის შემდეგ მხოლოდ დღეს შესძლო მოეყვანა ის ჩემთან. არ მინდოდა პირველადვე რაიმე ეჭვი აღმეძრა მასში. ამიტომაც ასე ბრთხილად და თითქოს უნდომათ ვთხოვე კიდევ მსტუმრებოდა. მთიული მუდამ იჭვიანია. მისი მოჩვევისათვის ოსტატობა და მოთმინებაა საჭირო. თუ ერთხელ დააფრთხე, სამუდამოთ გაგექცევა. ოცი წელიწადია ასეთ მთებში ვცხოვრობ და, დამიჯერე, რომ ჯერაც ვერ ვცნობ მთის ხალხს. ოცი წლის შემდეგ, როცა ტუჩზე მაგ ქერა გინგლის მაგიერ ჩემსავით ჭაღარა ჯაგარი გექნება, შენთვისაც აუხსნელ ამოცანად დარჩება ამ ველურ მხარეში მცხოვრები ადამიანი... ჯერჯერობით კი ერთი პირობა შემისრულე, — როგორც შვილს ისე გთხოვ, — ნუ ეთამამები მათ. ნუღარ გადაიყვან ცხენს ბალის ქედის გადაღმა. მე მუდამ იმის შიშში ვარ, რომ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდები. ეს ბედთან თამაშს გავს. ქვეყანას გაექეცი და მთას შეაფარე თავი? უკმაყოფილება ცხოვრებით, სიცარიელე, ამაოება... ასეა, ხომ? — მაიორ შაბუროვმა ალერსით მოხვია ხელი და სახლისკენ წაიყვანა. — ერთ დროს მეც მაგით ვიყავი სნეული. ასეც უნდა იყოს... ახალგაზრდობაში უნდა გადაიტანო წითელა, ყივანა ხველა, ფშატა, სიყვარული და სხვა ავადმყოფობა.!

* * *

უკანასკნელი თვე არკადი ადოლინს დაუსრულებელი ეჩვენებოდა. ერთობ ზარმაცად თენდებოდა და მერე ღამესაც მოსვლა ავიწყდებოდა.

თავის გასართობად ადოლინმა რვეულის ფურცლებიდან კალენდარი გააკეთა. ყველაფერი ისე, როგორც ჩვეულებრივად კალენდარში უნახავს. კვირა და უქმე დღეები წითელი ფანქრით მოხაზა, რიცხვის ქვეშ კი წმინდანთა სახელების მაგიერ თავისი მეგობრების და ნაცნობების სახელები ჩამოსწერა.

ყოველი დილა ამის შემდეგ ადოლინისათვის ამ პატარა სიხარულით იწყებოდა: გაიღვიძებდა თუ არა, უმალვე კალენდარს მივარდებოდა და ფურცელს ჩამოხევდა. ერთი დღით კიდევ შემცირდა ეს დაუსრულებელი თვე!

თანდათან ხალისიც მიეცა. თვალმაც უფრო კეთილად გამოიხედა. ისევ აზარებდა მთების სილამაზე, მზის უკანასკნელი შეჩერება უშბას მწვერვალზე, ტყეების სიმწვანე. უკვე ებრძოდა და უმკლავდებოდა მარტოობის სიმძიმეს. ისევ გაიხსენა თავისი ნაცნობი სვანები. შეიკაზმავდა ცხენს და მიდიოდა ახლობელ სოფლებში სახეტიალოთ.

როცა ერთხელ უკან მხიარული ბრუნდებოდა, ტყიდან ცხენის ფრუტუნი მოესმა, მოიხედა და თამბი რატიანის ზერდაგი დაინახა. უნაგირზე ნაბადი იყო გადაფენილი. თითონ თამბი არ სჩანდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ადოლინმა ისევ მოჰკრა თვალი ნაცნობ ზერდაგს. სრულიად შემთხვევით გაიხედა ბალის ქედისკენ და უეცრად შენიშნა ცხენი, რომელმაც ბუჩქნარი ლანდივით გადაიარა.

საღამოს არკადი შაბუროვთან იჯდა ოთახში. შემთხვევით თამბი რატიანზე ჩამოვარდა საუბარი. ადოლინმა მაშინ გაიხსენა დღევანდელი შემთხვევა და თან ეჭვი გამოსთქვა:

— დარწმუნებული ვარ ის ხშირად დაეხეტება ამ არე-მარეში. ტყუილად არ იქნება ეს. უმიზეზოთ დროს არ დაჰკარგავს!

მაიორმა გულგრილად მოისმინა ეს ამბავი. ყურადღების ღირსად არ სცნო. ხოლო ეჭვები უსაფუძვლოდ ჩასთვალა და გამოუცდელი კაცის შიშს მიაწერა.

— რა გენაღვლება იხეტიალოს იმ კაცმა ტყეში. ამას მისი ბუნება მოითხოვს. იქ სხვა ნადირიც ბევრია... დალევ?

მაიორმა გადაუდგა ჭიქა და დაუსხა. ადოლინმა ზრდილობისათვის მოსვა ყლაპი. მეტი ვერ შესძლო. აქამდი ვერ მიეჩვია იმ მყრალ სითხეს, რომელსაც აქ არაყს ეძახდენ.

— მართლა საზიზღარია. — დაიღრიჯა შაბუროვიც — ამით ნაღველს ვერ დაიყუჩებ, ამაში თავდავიწყებას ვერ ჰპოებ!

ამ მიზეზით ტყუილად ემდუროდა შაბუროვი არაყს. თავდავიწყება საჭირო არ ყოფილა ჭაღარა მაიორისათვის. დიდიხანია მას თავისი თავიც დავიწყებული ჰყავდა და ქვეყანაც. ოცი წლის წინად, რუსეთის ერთ მიყრუებულ ქალაქში, დასტოვა ცოლი და მას შემდეგ არც მისი, არც სხვა მახლობელის არაფერი სცოდნია. ერთიორჯერ მოაგონდა მხოლოდ, დასძლია თავს, დასწერა ბარათი, მაგრამ ისიც გაუგზავნელი დარჩა. ახლაც მაგიდაზე ეგდო დალუქული კონვერტი, ნაპირმომწვარი, ფერ გადასული და დამტვერული.

ცხოვრებაზე ხელაქნეული მაიორი თავის საქმეშიც გულგრილობას იჩენდა. დარწმუნებული, რომ სვანები შეურიგდენ თავისუფლების დაკარგვას და სამუდამოთ დაცხრენ, ხშირად უყურადღებოდ სტოვებდა იმ ამბავს, რომელიც ქედის გადაღმა მხარიდან მოდიოდა..

როცა ერთხელ ადოლინმა გამოსთქვა აზრი, რომ მთაში სიფრთხილით და არა ერთბაშად უნდა შემოიღონ ახალი წესები, მაიორმა დაცინვით და თან ალერსით მოუთათუნა მხარზე:

— შენ შორს გაიწევ, არკადი ვგრძნობ მე ამას... ახლა არმიაში შენისთანა პოლიტიკანებს მეტი გასავალი და პატივისცემა აქვთ, ვიდრე ისეთ მებრძოლებს, როგორიც ჩვენ, მოხუცები, ვიყავით. შორს გაიწევ, გახსოვდეს ჩემი სიტყვა!

მაგრამ ერთი ამბავის შემდეგ მაიორმაც შეიცვალა აზრი და ფიქრს მიეცა. მას საიდუმლოთ აცნობეს, რომ ლატალის მხრიდან ხშირად გადმოდიოდენ გავლენიანი თავისუფალი სვანები და სადადეშქელიანოს გლეხთა მიმხრობას ცდილობდენ. ამათ შორის ყველაზე მოხერხებულად თამბი რატიანი მოქმედებდა. მას ფიციც კი ჩამოერთმია რამდენიმე სოფლისთვის, რომ პირველსავე დაძახებაზე ისინი აჯანყებულთ მიმხრობოდენ.

ბალის ქედიდან დღითიდღე დამაფიქრებელი ცნობა მოდიოდა და ერთ დღეს მაიორ შაბუროვს და ადოლინს აღარ ეოცათ მიღებული ბრძანება სასწრაფოთ გადაელახათ ქედი და შეჭრილიყვენ ურჩი სოფლების დასამშვიდებლად.

პირველად მოუხდა არკადი ადოლინს ბრძოლაში წასვლა. ეს დილა, ნისლიანი და მოღრუბლული, რატომღაც სხვანაირი ეჩვენა.

გრძელ წყებათ გაშლილი რაზმი მთის ბილიკს შეუდგა. ადოლინი ფიქრში იყო გართული. უეცრად მაიორის ხმამ გამოარკვია:

— პოდპორუჩიკ ადოლინ! — გაუცინა შაბუროვმა — შენ სადარბაზოდ გამზადებულ ფრანტს უფრო გევხარ, ვიდრე საომრად მიმავალ მხედარს!

ადოლინმა დაიხედა ტანსაცმელზე და შერცხვა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ყველაფერი სადღესასწაულო ჩაეცვა.

— მართლაც და რა საჭირო იყო ეს საპარადო მუნდირი, მოოქრული გალუნები და ვერცხლის დეზები, — უკვირდა თითონაც — ნუ თუ ასე ვღელავდი?!

* * *

წმინდა კვირიკეს ეკლესიის გალავანში თავშეყრილ ხალხს სადღესასწაულო გუნება არ ჰქონდა. მოლხენის მაგიერ ისმოდა მუქარა უცხო ჯარისა და დაჩქედანების მიმართ, რომელნიც თავისუფალ მხარეში გაბატონებას აპირებდენ. ღამით, როცა ცეცხლის გარშემო შემომსხდარ ერთ ჯგუფში სალაშქრო სიმღერა სთქვეს, მთელმა ხალხმა აიტაცა ეს ხმა. მოხუცები აქეზებდენ ახალგაზრდებს გაემაგრებიათ თავისუფალ სვანეთში გადმოსასვლელი ბილიკები. გახელებულ ხალხს წაქეზება აღარ სჭირდებოდა. თუ კიდევ იცდიდნენ, ამის მიზეზი ის იყო, რომ მეორე დილისათვის მოელოდენ ქალაქში გაგზავნილ გზირების დაბრუნებას. ისინი ამოიტანდენ პასუხს და ამის შემდეგ გადასწყვეტდენ, თუ როგორ ემოქმედნათ. ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ მათ მიწებს არავინ შეეხებოდა.

მაგრამ მეორე დილით ქალაქიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა. ისიც ღამით გამოპარული. დანარჩენი იქ მძევლებათ დაეტოვებიათ. მთავრობა მოითხოვდა ხალხისაგან მორჩილებას და იმუქრებოდა ჯარით, თუ ურჩობას განიზრახავდა. გალავანში შეკრებილმა ხალხმა მაშინ ერთბაშად შეფიცა ერთმანეთს ერთგულება, დაეშვა კვირიკეს მთიდან, დაუბრუნდა სოფლებს და საბრძოლველად მოემზადა.

ხალხის ეს ჯანყი არკადი ადოლინს მაინც ერთი კაცის სახით წარმოუდგა. ეს კაცი იყო თამბი რატიანი. თვალწინ ედგა ეს ვეებერთელა სვანი. მთელი გზა მასზე ფიქრობდა. მუნჯად მიჰყვებოდა მისი დიდი ლანდი, ამღვრეულ წყალისფერ უცნაურ თვალებით მისჩერებოდა და გაბრაზებით სრესდა თითებით გიშრის კრიალოსანს.

მთებში სიჩუმე იყო. გაიარეს პირველი სოფელი. კაცი არსად დაუნახავთ. თითქო მკვდართა ქვეყანა იყო. მრისხანეთ ამართულიყო მიტოვებული კოშკები.

ადოლინს ეს კოშკები მრავალჯერ უნახავს, მაგრამ ასეთი პირქუშობა არასოდეს შეუმჩნევია. ეჩვენებოდა, რომ ახლა შურისძიება იხედებოდა მათ პატარა სარკმლებიდან.

გულზე დაწოლილ სიმძიმეს დროგამოშვებით უქარვებდა მაიორ შაბუროვის შეხედვა. ეს მსუქანი მოხუცი, თუმცა გრილოდა, მკერდმოღეღილი სთვლემდა ცხენზე. მაიორის ასეთი უდარდელობა კეთილად მოქმედებდა ახალგაზრდა ოფიცერზე.

მთების სიჩუმეში ადოლინმა უეცრად ყური მოჰკრა ხმას, რომელიც შორეულ გრგვინვას გავდა.

ბნელოდა, როცა მდინარის მიმყოლ ბილიკით ასეული ხალდეს მიუახლოვდა. ზარბაზნების ხმა ადოლინს ახლა გარკვევით ესმოდა. როგორც კი გასცილდენ ხევს და მთის ვაკეზე გავიდენ, დაინახა ცეცხლში გახვეული სოფელი. ყინულით დაფარული მთები ალის შუქზე წითლად შეღებილი სჩანდა. ცეცხლი მოსდებოდა კოშკებს და ღარიბ მაჩუბებს.

# გავეცნოთ მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურას

ა. ხანჯიანი

## ლიტერატურა და ხელოვნება სომხეთში

[illegible]



ამ უკანასკნელ დროს უკვე გადაცემულია დასაბეჭდად მთელი რიგი მწერლების ახალი ნაწარმოებნი, რომელთა მიზანსაც უმთავრესად შეადგენს ძლევამოსილი სოციალისტური შეტევის მხატვრული ასახვა.

არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ აქ ის გარემოება, რომ საკ. კ. (ბ) ც. კ-ის ისტორიული დადგენილების (საბჭოთა ლიტერატურის შესახებ) შემდეგ სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ მოახერხა მუშაობის თავის დროზე და სათანადოდ გარდაქმნა და ამ მუშაობის ახალ რელსებზე გადაყვანა. ჯერ კიდევ კარგა ხანს იყო გაბატონებული ჯგუფობრიობა და აუტანლობისა და მიუკარებლობის „მემარცხენე“ სული, რაც ასე ახასიათებდა პროლეტარულ მწერალთა რესპუბლიკანურ ასოციაციას, ეს კი აფერხებდა საბჭოთა მწერლების მთელი ძალების მჭიდრო კონსოლიდაციის საქმეს, ურომლისოდაც შეუძლებელია პარტიის მიერ ლიტერატურის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებულად გადაჭრა.

მეორეს მხრით, სამი ჩვენი ნიჭიერი მწერალი: ჩარენცი, ბაკუნცი და არმენი დაადგა შემცდარ თვალსაზრისს ლიტერატურული შემოქმედების ისეთ ძირითად საკითხში, როგორიც არის ნაციონალური ფორმისა და სოციალისტური შინაარსის საკითხი.

ჩვენი ლიტერატურის უფრო სწრაფი და ძლიერი განვითარების საქმეში უარყოფით ფაქტად რჩება აგრეთვე ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელი მდგომარეობა, — მდგომარეობა, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ც. კ-მა თავის დროზე, სახელდობრ 1933 წლის 25 აგვისტოს დადგენილებაში, დასცხო ამხ. ბაკუნცის ჯგუფს ნაციონალისტური ტენდენციების გამოვლინებისათვის. ჩვენი ლიტერატურის შემდგომი აყვავებისა და წარმატებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა — გავაძლიეროთ შეურიგებელი ბრძოლა ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინაალმდეგ ლიტერატურული შემოქმედების დარგში: საჭიროა ნაციონალური ფორმის, როგორც საშუალების, განვითარებასთან ერთად გავჟღინთოთ ჩვენი ლიტერატურის მთელი შინაარსი პროლეტარული მებრძოლი ინტერნაციონალიზმით; საჭიროა, როდესაც ვეხებით წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას, მიუდგეთ ამ საკითხებს უპირველეს ყოვლისა ნაციონალიზმის წინაალმდეგ ბრძოლის გაძლიერების თვალსაზრისით; საჭიროა, რომ ჩვენი მწერლები უფრო მეტად დაუახლოვდნენ სოციალისტურ სინამდვილეს, უფრო სერიოზულად შეუდგნენ მარქსის, ლენინის, სტალინის ქმნილებათა შესწავლას; საჭიროა, დასასრულ, რომ წინ წაიწიოს ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. ჩვენ მოგვეპოება ყველა წინასწარი პირობა ამ საკითხების წარმატებული გადაჭრისათვის და როდესაც სომხეთის საბჭოთა ლიტერატურა გადასჭრის ამ საკითხებს, იგი აუცილებლად მოგვცემს ჩვენი ეპოქის შესაფერ მაღალ ხარისხოვან ნაწარმოებს.

სხვა მასიურ ხელოვნებებს შორის ყველაზე უფრო მტკიცე და ყველაზე უფრო მსხვილი ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი საბჭოთა თეატრი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თეატრალური ხელოვნება, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, აშკარა აყვავების გზაზე დგას, — გარემოება, რომელსაც პარტიაც და მთავრობაც უდიდეს ყურადღებას აქცევენ.

ასეთია ის დიდი წარმატება, რომელსაც ამ მიმართულებით მივაღწიეთ ჩვენ ადამიანთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

მახლობელ მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ **ორიგინალური დრამატურგიის** შექმნას, საბოლოოდ უნდა გადავლახოთ ბურჟუაზიული ხელოვნების გავლენის ცალკეული ელემენტები ჩვენს თეატრალურ შემოქმედებაში, დიდის გაბედულობით უნდა გავშალოთ მუშაობა სათეატრო კადრების შესაქმნელად, გავაუმჯობესოთ თეატრის სადგომები და თეატრალური კოლექტივების საბინაო პირობები. დასასრულ, 1935 წელს უნდა დავამთავროთ სახელმწიფო თეატრის ახალი შენობის აგება.

არმენკინოს მუშაობაში ორი ძირითადი დეფექტია. პირველ დეფექტს წარმოადგენს გადაღებული ფილმების საერთოდ არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, მეორეს — სოფლის არადამაკმაყოფილებელი კინოფიკაცია. გვაქვს სულ 20 მოძრავი კინო, 22 სტაციონალური და 36 საკლუბო კინო-ეკრანი. ეს კი მეტად ცოტაა. მიმდინარე წელიწადი უნდა გადაიქცეს რაიონების კინომომსახურების საქმის გაუმჯობესების წლად. სულ ცოტა, უნდა გავაორკეცოთ კინო-წერტების არსებული ქსელი, მივაწოდოთ ჩვენს მასებს იდეოლოგიურ-მხატვრულად მაღალხარისხოვანი ფილმები. მთლიანად უნდა განხორციელდეს სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება არმენკინოს შესახებ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კინომომსახურეობით ყველა სამაქანო-სატრაქტორო სადგური, ყველა საბჭოთა მეურნეობა და მსხვილი კოლმეურნეობა, — ასეთია არმენკინოს საბრძოლო ამოცანა.

ყურადღების სფეროდან ვერ გამოვტოვებთ საბჭოთა ხელოვნების ორ სხვა დარგსაც — მუსიკას და მხატვრობას. მხოლოდ უკანასკნელ წლებში შევუდექით გეგმიან ღონისძიებებს მუსიკალური კულტურის ზრდის სტიმულირების მიზნით. ჩვენი მუსიკალური კულტურის ძირითად რგოლებს წარმოადგენენ კონსერვატორია, პროფ-მუსიკალური სკოლა, „კომიტასის“ სახელობის კვარტეტი და რადიოცენტრის ჯგუფი, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს მიემატა მუსიკალური კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლიც — ჩვენი სახელმწიფო ოპერა. ძალთა ნაკლებობის მიუხედავად, ჩვენმა სახელმწიფო ოპერამ თავის არსებობის განმავლობაში ჩაატარა დიდი დადებითი მუშაობა. მარტო წარსულ სეზონში ოპერის წარმოდგენებს, მათი მცირე რიცხვის მიუხედავად, დაესწრო 19,000 კაცი. წლევანდელ სეზონის წარმოდგენებს კი მარტო 15 დეკემბრამდე (სულ 27 წარმოდგენას) დაესწრო 12,324 კაცი. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სომხურ ენაზე „ფაუსტის“, „კარმენის“ და მთელი რიგი სხვა ოპერების დადგმა. ვერ დავივიწყებთ ვერც იმ ფაქტს, რომ ჩვენმა ოპერამ უკვე შეუქმნა სტიმული მთელი რიგი სერიოზული მუსიკალური ნაწარმოების შექმნას. ჩვენი კომპოზიტორები სერიოზულად მუშაობენ იმისათვის, რომ ახლო მომავალში აჩვენონ ჩვენს მაყურებელს ოპერები „მამაცი ნაზარი“, „ძორაპესი“ და გადამუშავებული „ანუში“.

საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა სომხეთის მხატვრობა, გაიზარდა როგორც მოცემული ტილოების რაოდენობის მხრივ, ისე ხარისხობრივად.

დიდი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ჩვენმა მხატვრებმა, — არა მარტო ახალგაზრდებმა, არამედ ძველი თაობის საუკეთესო ოსტატებმა, — გადაჭრით იბრუნეს პირი საბჭოთა თემატიკისაკენ. უკანასკნელ დროს მოწყობილმა გამოფენამ აშკარად დაგვანახვა ის წარმატება, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ მხატვრობის დარგში და რომლის შემდგომი გაღრმავებაც წარმოადგენს მხატვართა კოლექტივის ძირითად ამოცანას.

ეგიშე ჩარენცი.

## ბორის ძნელაძე



ალექსანდროვის ბაღში, რომელიც
არის ცნობილი ოცდა-ექვსი გმირის სახელით,
როგორც ბელადი დაუდგრომელი
უკვდავ ბრინჯაოდ აიმართა
ჭაბუკი — მრავალ ძლიერების გამომსახველი.

შორეულ სივრცეს
მან მიაპყრო მკვეთრი თვალები.
მის მკერდს სწყურია
მეტი ბრძოლა და გრიგალები.
ოქტომბრის ცეცხლი მის თვალებში
კიდევ ელვარებს,
იმის ცქერაში
შორეული სივრცე მღელვარებს,
სადაც ამოდის მეწამული ტალღა დიადი. —
მთელი მსოფლიოს განახლება და განთიადი.

იგი დგას მედგრად, მაღალი ტანით,
როგორც ბრინჯაოს ახალგაზრდა
მძლავრი ტიტანი.
ურყევი, კლდეა და კედელი.
ეტყობა სიმტკიცე გმირის:
ის არის გამომჭედელი
საქართველოს
ლენინური
კომკავშირის.
ამ ბრინჯაოში, რომ ამღერდა როგორც პოემა
მისი ურიცხვი ამხანაგის
კრთის გულის ცემა.
როცა გმირობის აელვარდა სალამო მწველი,
ამ საფეხურზე ის ავიდა ნაბიჯით ნელით.

იგი ავიდა გაბედული და დაუდგრომი:
ასე არასდროს წარსულ დროთა
გმირი წარსული,
თავის მერანზე ამაყად მჯდომი,
მაღალ დიდების საფეხურზე
ჯერ არ ასულა.

სად არის, გმირნო, თქვენი სახელი,
გაქროლებულნო ფაფარაყრილ
მარმარ ცხენებით,
სად არის თქვენი გამოძახილი,
სადა ხართ თქვენი ყალბი ჩვენებით?

სად არის აქილესი
და პატროკლი კეთილშობილი,
სად არის ულლის —
მწყემსთა მპყრობელი?
აი ბრინჯაოს აქილესი ძლევამოსილი,
რომლის მეხოტბე — ჰომიროსი
ჯერ არ მოსულა.
ძველი ტროადა დაამარცხეთ, ნახეთ დიდება,
საუკუნოებს დაეუფლეთ ამაყ მითებად.
აი ბრინჯაოს აქილესი — ყრმა მშვენიერი!
კაპიტალიზმის მან შემუსრა
ციხე ძლიერი.
ის დგას მკერდლია, შეუპოვარი.
იმას სწყურია ქარებთან შეხლა.

და მისი ცქერა —
განთიადის სხივთა მთოვარე,
ამაყ, მშობლიურ
მთებს ზვერავს ეხლა.
დგას უძლეველი. ბრინჯაოს გულით
ის იტევს მრავალ გულების ძგერას
ურიცხვ ჭაბუკთა ავანგარდის
ესმის ფერხული,
მათ ნაბიჯების უსმენს სიმღერას.
მისი რაზმები მეტად დიდია
საქართველოდან ინდოეთში მედგრად მიდიან,
ყველგან არიან, სადაც შრომა
იღვრება ოფლად,
ამერიკაში, აფრიკაში, ქალაქად, სოფლად.
რკინის მკლავებით
საბრძოლველად ყველგან დგებიან,
და უშიშარნი
მტრის ჯებირებს ეხეთქებიან.
ამიტომ არის, რომ ბრინჯაო
მღერის მებრძოლი,
და მარშის ხმაზე ჭაბუკები მიიჩქარიან,
და მათი ტოლი —
მხოლოდ ქარია.
ამხანაგების ოქროს ძარღვებში
მღერის ბრინჯაო წმინდა ბგერებით,
და ეს სიმღერა მრავალ ფერებით
ისმის მადნებში,
შორეულ მთებში,
ედება ქარხნებს შეუჩერები,
როგორც ისარი ციდან ვარდება
რომ მისცეს ხუთწლედს წარმატება.

ის კომკავშირულ
რაზმებს ამაგრებს,
და ამბოხებულ
ჩინეთის სანგრებს.
და ეს სიმღერა სოციალიზმის
იქ, იუნგშტურმების რიგებში ისმის.
იწვევს გმირობას და ძლიერებას,
ცეცხლად ედება ქვეყნიერებას.
ო, როდის იყო სიჭაბუკე
ასე ხმოვანი,
ვით ეს ჭაბუკი
სახელოვანი,
რომელიც გრანიტს დაუფლებია
და ახლა ზვერავს სივრცეს მთებიანს?
აი, პოეტო, ბრინჯაოს კერა,
არ დადუმდება მისი სიმღერა!
ჭაბუკებს დასწვავს ბრძოლის სურვილით,
ისე, როგორც მზე დაუბურველი.
ის სიცოცხლეა,
სიმღერა, ზღაპარი;
ასე წკრიალებს
ბრინჯაოს ქნარი!

თარგმანი: ვ. გაფრინდაშვილის.

ალაზანი

## მესამოცე ორიზონტზე

(ნაწყვეტი რომანიდან)

რადიოაპარატს გარდა, საერთო საცხოვრებლის ოცდაათი მდგმურიდან ორს — ალეკპერ ჰუსეინ თეიმურ-ტაშ-ოღლისა და ირზა დაუდს — ჰქონდა გრამოფონები, და ხშირად რადიოაპარატის ხმასთან ერთად საერთო საცხოვრებელში სევდიანი „შიქასტაც“ გაისმოდა. ზოგჯერ ალეკპერი და ირზა ერთსა და იმავე დროს მომართავდენ თავიანთ გრამოფონებს, და მაშინ საერთო საცხოვრებელს აყრუებდა რადიოაპარატისა და ძველი ფირფიტების ხრინწიანი ხმები.

ზოგჯერ ალეკპერი მარტო მიუჯდებოდა თავის გრამოფონს, დასდებდა ზედ რომელიმე ფირფიტას და, მარცხენა ხელზე თავდაყრდნობილი, გრამოფონის ჰანგს თავის დაბალ და სევდიან ხმას ააყოლებდა.

ასეთ წუთებში მისი გონება შორდებოდა იმ არემარეს და მიფრინავდა შორეული სპარსეთის სოფელში, სადაც მან ერთი წლის წინათ დასტოვა ახალგაზრ. ცოლი აიშე და პატარა ქალიშვილი ზეინაბი. ამ სიმღერით ალეკპერი იკლავდა ცოლშვილის დაშორებით გამოწვეულ ბოღმას, იგი დასტიროდა თავის უბედურ წარსულს, ტანჯვას ლუკმა პურისათვის, შიმშილს, თავის პირმშო რუსტამის სიკვდილს, დასტიროდა მშობლიური სოფლის ბევრი ოჯახის მწარე ბედს, და მის სევდიან სიმღერაში თითქოს მთელი სპარსეთის ტანჯვა-ვაება მოისმოდა.

როდესაც ერთი ფირფიტა დადუმდებოდა, ალეკპერი სდებდა მეორეს, და ასე მისდევდა საათი საათს.

მის ტახტთან იდგა სპარსეთიდან მოტანილი ნაირნაირი სალტეებით აჭრელებული სკივრი. ეს სკივრი ალეკპერმა უყიდა თავის ცოლს აიშეს, როგორც საქორწინო საჩუქარი. მასში ინახავდენ ნაკლებად გაცვეთილ ტანისამოსს.

როდესაც ალეკპერი სამუშაოს საძებნელად საბჭოთა სომხეთში წამოვიდა, იძულებული გახდა თან წამოეღო ეს სკივრიც. მასში ჩაალაგა რამდენიმე გაცვეთილი პერანგი, თხელი საბანი და ნამაზის დროს საჭირო სურა.

ყოველთვის, როდესაც ალეკპერი ჭრელ სკივრს დახედავდა, გაახსენდებოდა თავისი აიშე და ზეინაბი, გაახსენდებოდა თავისი ნაცვრად დაქცეული სახლი, მზიანი ქუჩები, და მისი არსება სევდით ივსებოდა.

სკივრის გასამშვენებლად ალეკპერმა მისი საფარავი შიგნიდან ააჭრელა პაპიროსის კოლოფებიდან აძრობილი ნაირნაირი სურათებით, საფოსტო ბარათებით და პაპიროსის ქაღალდის ეტიკეტებით ანუ „ნიშნებით“, როგორც ალეკპერი ეძახდა. აკრავდა სკივრს აგრეთვე ჭრელ მარკებს, რომლებსაც აძრობდა სპარსეთიდან მიღებულ წერილებს. ცენტრში, თვალსაჩინო ადგილას მოთავსებული იყო პაპიროსის ქაღალდის ეტიკეტი რიზა შახის გამოსახულებით, ხოლო მის გვერდით — გაზეთიდან ამოჭრილი ლენინის სურათი.

ალეკპერს ლენინი მიაჩნდა ღარიბთა დიად წინასწარმეტყველად, ხოლო რიზა შახი — ღმერთისა და ხელისუფლების წარმომადგენლად.

სპილენძის სამადნოებში გატარებულმა ერთმა წელიწადმა დიდი ცვლილება მოახდინა ალეკპერში, მაგრამ იგი კვლავ რჩებოდა სპარსეთის ქვეშევრდომად, კვლავ კრძალვითა და მოწიწებით იხსენიებდა რიზა შახს, კვლავ სწამდა ღმერთი და მისი წინასწარმეტყველი მაჰმადი.

---

თავისი სოფლის მზისგან გადამწვარი მინდვრების შემდეგ ალეკპერმა თავი ამოჰყო მთა-გორებით შემორტყმულ გრილ ადგილას. მოხიბლული შეჰყურებდა იგი ტყიან გორებს, ლალეს თოვლიან მწვერვალს, ხეობას, სადაც მუდამ ნისლი იყო გაწოლილი, და აღტაცებაში მოდიოდა.

საერთო საცხოვრებელი ალეკპერს პირველ ხანებში მეტად არამიმზიდველად მოეჩვენა, მაგრამ თანდათან მიეჩვია იქ ცხოვრებას. ორი აზრი არ ასვენებდა ალეკპერს: პირველი — შემოენახა, რაც შეიძლება, მეტი ფული ოჯახისათვის, მეორე — ეყიდა საკუთარი გრამოფონი, რაზედაც ბავშობიდან ოცნებობდა. ამიტომ ბევრ რამეს იკლებდა იგი, ცდილობდა არაფერი დაეხარჯა ზედმეტად. გადარჩენილ ფულს ალეკპერი შესანახად აბარებდა მის ჯგუფთან ერთად ჩამოსულ მართლმორწმუნე მოხუცს ალი გეიდარ აღას, რომელსაც სპარსელმა მუშებმა ფანატიკური რწმენისა და „პეხამბარი“-ის (წინასწარმეტყველი) ხშირი ხსენებისათვის „წინასწარმეტყველი“ უწოდეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ალეკპერმა როგორც იყო განახორციელა თავისი დიდი ხნის ოცნება: გამოზოგილი ფულით ქალაქის აღმოსავლურ ბაზარზე იყიდა ძველი გრამოფონი სპარსეთიდან ჩამოტანილი ფირფიტებით. ამ ფირფიტებს შორის იყო არა მარტო ჩვეულებრივი „შიქასტები“, არამედ რამდენიმე რელიგიური საგალობელიც — ჰიმნები „შახსეი-ვახსეის“ ტრაგიკული კულტიდან — და ლოცვები, რომლებსაც ამ დღესასწაულის დროს გალობენ მორთულ-მოკაზმულ აქლემებზე შემსხდარი ჭაბუკნი.

როდესაც სპარსეთიდან ჩამოსვლის პირველ წელს მართლმორწმუნენი, „წინასწარმეტყველის“ ალი გეიდარ აღის ხელმძღვანელობით, ასრულებდენ შახსეი-ვახსეის წესებს, ალეკპერი იჯდა თავის ახლად ნაყიდ გრამოფონთან, უკრავდა და დამღეროდა ამ სევდიან ჰანგებს.

ალეკპერის გრამოფონს ის უპირატესობა ჰქონდა ირზა დავუდის გრამოფონთან შედარებით, რომ მის ფირფიტებს შორის იყო რელიგიური ჰანგებიც, რაც, მიუხედავად ფირფიტების სიძველისა, ყველა მართლმორწმუნის სათაყვანებელ საგანს შეადგენდა. საერთო საცხოვრებლის მოსახლეობა მეტ ყურადღებას აქცევდა ალეკპერის გრამოფონს, ვიდრე ირზა დავუდის გრამოფონს.

საერთო საცხოვრებელში ხშირად დადიოდენ ცოლშვილიანი სპარსელები, რომელთაც დიდი ხანია მიატოვეს სამშობლო, საუბრობდენ ახლად ჩამოსულებთან, არიგებდენ მათ და თან ყურს უგდებდენ გრამოფონის სევდიან ჰანგებს.

პირველ ხანებში ალეკპერი ძალზე იყო გამსჭვალული მაჰმადის რელიგიის ცრურწმენებით. დილაობით, როდესაც იგი მაღაროში ჩადიოდა, ცალ ხელში ეჭირა სანათი, ხოლო მეორეში სურა ნამაზისათვის. დღეში რამდენჯერმე ლოცულობდა, ასრულებდა განბანის და ყველა სხვა წესს, საერთოდ იქცეოდა ისე, როგორც მაჰმადის მოძღვრება უკარნახებდა. როდესაც იგი ამ სურით პირველად ჩავიდა მაღაროში, დიდი ხნის წინათ ჩამოსულმა სპარსელებმა — „გადგომილებმა“, როგორც მათ „პეხამბარი“ ალი გეიდარ აღა ეძახდა, — მასხარად აიგდეს, მაგრამ მალე თავი შეიკავეს, რადგან არ უნდოდათ შეელახათ მისი რელიგიური გრძნობა.

შუადღის ნამაზის დროს ალეკპერმა ბნელ მაღაროში გზა-კვალ აბნეული ცხვარივით აქეთ-იქით დაიწყო ყურება. შემდეგ მივიდა დიდი ხნიდან მომუშავე სპარსელთან და ჰკითხა:

— ძმობილო, რომელ მხარეს არის ყბლა? *)

— რა ყბლა, რას ამბობ, აქ მაღაროა და არა მეჩეთი!.

— ძმობილო, გთხოვ, აგრემც შეგეწევა ალახი, — შეევედრა ალეკპერი, — მიჩვენო, საით არის ყბლა.

ძველმა მუშამ, დაინახა რა, რომ ალეკპერთან ვერაფერს გააწყობდა, ალალბედზე გაიშვირა ხელი ერთი კუთხისაკენ და უთხრა:

— აი იქ...

ალეკპერმა ჩამოჰკიდა სანათი კლდიდან გამოშვერილ წვეტიან ქვაზე, ჩაიკეცა მუხლებში და შეასრულა განბანის წესი.

რამდენიმე დღე ალეკპერს თან დაჰქონდა სურა მაღაროში. ამაოდ არწმუნებდენ ძველი მუშები, აღო ხელი უსარგებლო წესებზე. ალეკპერი თავისას არ იშლიდა.

— მე სპარსეთში მყავს ცოლ-შვილი, — გაიძახოდა ის, — თუ არ შევევედრები ალახს და მის პეხამბარს, ვინ მიხედავს და ვინ დაიცავს ჩემ აიშეს და ზეინაბს...

— ალახი და მისი პეხამბარი იცავენ შახს და ვაჭრებს, ზრუნავენ მათი ჰარამხანებისა და დუქნებისათვის, — ეუბნებოდენ ალეკპერს მოსაუბრენი. — მათ საქმე არა აქვთ ღარიბლატაკებთან. მოიყვანე აქ შენი ცოლშვილი, თითონ იზრუნე და დაიცავი ისინი. შენ უკეთ იზრუნებ მათთვის, ვიდრე ალახი და მისი პეხამბარი...

— ოი, თქვე განდგომილებო, გზააბნეულებო, — შესძახებდა ალეკპერი, — შორს ჩემგან!.. არა არს ღმერთი, გარდა ღმერთისა, და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია, — იმეორებდა ალეკპერი ლოცვის სიტყვებს.

ერთხელ რამდენიმე სპარსელმა მუშამ, წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ გამოჰგლიჯა ხელიდან ალეკპერს სურა, დაამსხვრია იგი და ნამტვრევები მაღაროში მიმოფანტა. ალეკპერი ძალზე აღშფოთდა, არ დააკლო წყევლა-კრულვა, ემუქრებოდა უკანასკნელი სამჯავროთიც კი. ხოლო როდესაც ნამაზის დრო დადგა, მცირე ფიქრის შემდეგ, მივიდა ნაკადთან, რომელიც მაღაროს ბნელ ხვეულებში მიჩხრიალებდა, ჩაცუცქდა მის ნაპირთან და შეასრულა განბანის წესი.

შემდეგში დიდხანს იტანჯებოდა: ეჭვი შეეპარა — შეიძლება თუ არა განბანის წესის შესრულება სპილენძის მადნიდან გამომდინარე წყლით. გამოჰკითხა ამის შესახებ ალი გეიდარ აღას. მან დაუსტურა შეიძლებაო. ამასთან მიუთითა ყურანზე, სადაც ნათქვამია: თუ წყალი არ მოიპოება, განბანა ქვიშითაც შეიძლებაო.

დამშვიდებული ალეკპერი ამიერიდან განბანის წესს ჩუხჩუხიანი ნაკადის ნაპირთან ასრულებდა.

დრო თავისას შვრებოდა. ალეკპერი ხედავდა, რომ მასთან ერთად ჩამოსული სპარსელებიც კი ხელს იღებდენ რელიგიურ წესებზე, და თანდათან ისიც გადაუდგა ნამაზს. მხოლოდ ალი გეიდარ აღა და რამდენიმე ფანატიკოსი მორწმუნე განაგრძნობდენ ყველა რელიგიური წესის ძველებურად შესრულებას.

მაგრამ ალეკპერი საბოლოოდ მაინც არ სწყვეტდა კავშირს ღმერთთან და მის წინასწარმეტყველთან. თუ მუხლმოდრეკილი არა, გონებით მაინც მიმართავდა ალახს და შესთხოვდა არ მოეკლო თავისი წყალობა აიშესა და ზეინაბისათვის. ასევე მოწიწებით და ზოგჯერ გულამომჯდარი უსმენდა გრამოფონის მიერ გადმოცემულ სალოცავ ჰანგებს.

ალეკპერ გუსეინ თეიმურ-ტაშ-ოღლი მუშაობდა ოქტომბრის სამადნოების ყველაზე ძნელად ასატან მაღაროში. ეს მაღარო ითვლებოდა ყველაზე უფრო ღრმა მაღაროდ — იგი მიწის ზედაპირიდან 400 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. მაღაროში ბნელოდა, არ იყო იგი განათებული ელექტრონით, ამიტომ მას „ბრმა მაღაროს“ უწოდებდენ.

მაღარო მოკლებული იყო აგრეთვე ვენტილიაციას, ხოლო მუშაობა წერაქვებით სწარმოებდა.

მაღაროში არა მარტო ბნელოდა, იგი ძალზე ნესტიანიც იყო. მომუშავეს ტალახსა და წყალში უხდებოდა დგომა, ამიტომ „ბრმა მაღაროში“ მომუშავეებს რეზინის მაღალი ყელიანი წაღები ეცვათ.



ალეკპერის ამხანაგებად მაღაროში იყვნენ რიზა ალიევი, ბერძენი თომა ფეოფანოვი და კომკავშირელი ცოლაკი.

მაღაროში ორი ღრმა გამოქვაბული იყო. პირველში მუშაობდენ ალეკპერი და თომა ფეოფანოვი, ხოლო მეორეში — რიზა ალიევი და ცოლაკი.

ზევიდან მუდამ წყალი ჟონავდა. აქა-იქ გამონგრეულ კლდიდან შხუილით გადმოდიოდა ნაკადი. ზოგჯერ წყლის წვეთები ალეკპერს კეფაზე ეცემოდა და მაშინ მთელ ტანში ცივი, ჟრუანტელი უვლიდა. ბრეზენტ ქვეშ — ოფლი გარედან კი — ლურჯი წყალი. ყველაფერი ეს მისი ზედა სამოსის ნაოჭებში გროვდებოდა.

ექვს თვეზე მეტი იყო უკვე, რაც ალეკპერი და თომა ამ მაღაროში ერთად მუშაობდენ. ცოლაკმა და რიზა ალიევმა მხოლოდ ერთი თვეა შესცვალეს ორი სხვა, მუშაობით მოქანცული მუშა.

„ბრმა მაღაროში“ მუშაობის მთელი ამ ექვსი თვის განმავლობაში ალეკპერმა გამოიჩინა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა და საქმის ერთგულობა. დაფაზე მისი გვარის პირდაპირ არ იყო არც ერთი შენიშვნა გაცდენის ან დაგვიანების შესახებ. პირიქით, ალეკპერის გვარი წითელ დაფაზე გამოჭიმეს, ხოლო საზეიმო სხდომის დროს მუშებმა ჯილდოს სახით გადასცეს მას ლენინის პატარა ქანდაკება და სამი მეტრი აბრეშუმი. აღტაცებულმა ალეკპერმა ჯილდო სახლში წაიღო, აბრეშუმი ფრთხილად შეინახა ჭრელ სკივრში თავის ცოლის აიშესათვის, ხოლო „ღარიბთა დიდ წინასწარმეტყველის“ ქანდაკება, როგორც იგი ლენინს ეძახდა, გრამოფონის გვერ-

*) ყბლა — ის მხარე, საითკენაც სპარსელები ლოცვის დროს იბრუნებენ პირს.

გურგენ მაარი

# სიმღერის და შრომის ენა



1.

ჩვენ ჩამოვდივართ ქანაქერჰესის მშენებლობის ერთ-ერთი მხრის აღმართით. ყველგან ჩანს ადამიანის ხელი. ადამიანს დაუნაწილებია ბუნების ერთი პატარა ნაწილაკი და სჭრის, ზომავს, სთხრის, ამაგრებს, აფეთქებს და აჭუშავებს.

ჩემი გამყოლი — მშენებლობის ერთერთი ენტუზიასტი ამხ. ბარალამი, ყოფილი მოჯამაგირე, შემდეგ წინწაწეული სოფლის კომკავშირში, და ქალაქის შვიდწლედის კურსდამთავრებული, — სიმპატიური ჭაბუკია. ის დაუზარებლივ წინ მიმიძღვის ობიექტიდან ობიექტში, ჩემ შეკითხვებზე მიპასუხებს მზრუნველობით. ის იშვიათად იღიმება, მაგრამ უზომოთ უხდება მის სახეს ღიმილი.

ჩემი გამყოლი ექვობს იმის შესახებ, რომ ვნახო აქ ისეთი რამ, რაც ღირსი იქნება აღწერისა, ისეთი რამ, რის შესახებ ჯერ კიდევ დაწერილი არავის არ ჰქონდეს. ბარალამამ იცის, რომ მწერლები „მაზალო“, „თავისებური“ ხალხია, რომ „ერთად სვამენ და ერთმანეთს კი ძირს უთხრიან“, რომ „ქაოსი“ ავ. ისაკიანმა დასწერა, თუმანიანმა კი „ლალა — მაჰარი“ და რომ...

— ბევრი რამ დამავიწყდა... დრო არა მაქვს, რომ წავიკითხო...

გამოჩენილი კაცია ჩემი ბარალამა!

მე სურვილს ვაცხადებ წავიდეთ მუშათა საცხოვრებელი სახლების დასათვალიერებლად. ბარალამა სიამოვნებით მიმიძღვის. ჩვენ შევდივართ დაბაში.

მუშათა საცხოვრებელთაგან ერთი, ეს გრძელი ერთსართულიანი შენობაა. გრძელ და გაჭიმულ კარიდორის ორ მხრივ ჩამწკრივებულ ოთახებში მოთავსებული არიან მუშები თავიანთი ოჯახებით. ღია კარებიდან ვიყურები და ჩემ თვალწინ მიდიან საწოლები, სუფთა გადაფარებული მაგიდები, კედლებზე სტალინის, ბროდსკის — 26-ი კომუნარის დახვრეტა, ხანჯიანის, და ტერ-გაბრიელიანის სურათები...

— მელქონ! — შეიძახა ბარალამამ რომელიღაც ოთახში, — რას აკეთებ?..

— ვისვენებ, შემოდი — მოისმა შიგნიდან მხიარული ხმა, ამ ხმაში ბგერდა ახლად ჩამოსულის კილო.

— საბერძნეთიდან არის ჩამოსული? — ნახევარი ხმით ვკითხე ბარალამას.

მან თავი დააქნია და დაუმატა:

— შევიდეთ, საყურადღებოა.

შევედით.

ის იწვა საწოლზე და ისვენებდა თავის ამხანაგთან ერთად. რომ დაინახა უცნობი კაცი, ადგილიდან წამოხტა, ჩუსტები ჩაიცვა და ხელი ჩამომართვა.

კოხტად მოწყობილი ოთახი. პირველ შეხედულობაზედაც კი ემჩნეოდა, რომ ოთახში ზრუნავდა ქალის ხელი და ზედამხედველობდა ქალის თვალი. მოკლე, სუფთა ფარდა, ერთადერთ ფანჯარაზე, მაგიდის ერთ კუთხეში ტუალეტის სადა, მაგრამ მოხდენილი ატრიბუტები, საწოლთან კედელზე დაკიდული გიტარა, მერე დამკვრელობის ორი საპატიო სიგელი სურათივით მიკრული გიტარის ქვეშ.

— უკრავთ? — ვკითხე მე, გაცნობისა და გამოლაპარაკების შემდეგ.

— ვუკრავ! — გააგრძელა მელქონმა და უმალვე დაუმატა, —

— სახლისთვის... ჩემთვის...

— ეს გიტარა ისტორიული გიტარაა, — სთქვა ბარალამამ და მუქარის ღიმილით მიმართა მელქონას, — ვუამბო?

— რისთვის? მე ენა არა მაქვს? — გაწითლდა მელქონა და გიტარა ჩამოიღო კედლიდან.

— მელქონ, გენაცვალე „ღამეები“, „ღამეები“ დაუკარი.

— „ღამეები,“ „ღამეები“, — დასცინა მელქონამ, — მაშ ესენი... დაგავიწყდა... — და უჩვენა დამკვრელობის ორი საპატიო სიგელი,

— არა! არ დამვიწყებია! მაგრამ თუ რომ „ღამეებს“ არ დაუკრავ, დამავიწყდება...

მე არაფერი არ გამეგებოდა ამ მხიარულ საუბრისა და მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა — მომესმინა ის „ღამეები“.

მელქონამ ააჟღარუნა და დაიწყო —

**ღამეები ნისლიანია,**
**ერთი რომ მაკოცნინო ნუში იქნება!**
**თუ უნდა მომცე: ეხლა მომეცი!**
**ხვალისთვის რომ დარჩეს, ახ, ხვალისთვის**
**რომ დარჩეს გვიან იქნება!..**

მელქონას კარგი ხმა არ ჰქონდა, მაგრამ იმდენად კილონიანი იყო მისი სიმღერა, ხმა სადა, გულის მომწყვლელი და მიმზიდველი, რომ მე გუნებაში დავიწყე სიმღერა მასთან ერთად...

**საიდან მოხვედი,**
**საიდან მოხვედი არ ვიცი...**

შემოვიდა 22 — 23 წლის ახალგაზრდა ქალი, ერთი შეხედვითაც შეიძლებოდა მიხვედრა, რომ ის რუსის ქალი იყო. საერთო რა უნდა ყოფილიყო ბერძენ მელქონსა და ამ ქალს შორის?

ჩემი ყოყმანი გაოცებად შეიცვალა, როდესაც მელქონამ გიტარა გაიშვირა მისკენ და და სთქვა:

— გაიცანით, ჩემი ცოლია...

— ლიზა, — წარმოსთქვა მან თავისი სახელი.

— როგორც სჩანდა, ჩემს სახეზე იხატებოდა გაოცება. მელქონამ გაიცინა:

— ყველაფერი მოხდება, ამხანაგოჯან, რა არის საკვირველი?... დაწვრილებით რომ მოგითხროთ, სრულიად არ გაგიკვირდებათ...

— მერე მიმართა ლიზას:

— ხოროშო?..

— არა, — უპასუხა ლიზამ, გამოუცდელი, სასიამოვნო სომხურით — პაქერ.

— პაქ არა! — გაიღიმა მელქონამ, — პაქ ნიშნავს კოცნას... ფაკ, ფაკ! *)

— ფაკ! ფაკ! — გაასწორა ლიზამ სიცილით.

ააჰ მხიარული ოჯახი, — გავიფიქრე მე და ჩემი ცნობისმოყვარეობა აინთო:

— ცოლი როდის შეირთე, მელქონ? — ვკითხე მე.

— ერთი წლის წინად, აქ რომ დავმკვიდრდი, სამი თვის შემდეგ ცოლი შევირთე...

— რუსული იცოდი?..

— ერთი სიტყვაც არ ვიცოდი.

— ტყვილია! — ჩაერია ლიზა — **„ხოროშო“** იცოდი...

— ე! — გაიღიმა მელქონამ, — მხოლოდ ხოროშოთი რუსული იქნება?..

— მაშ როგორ გაიცანით ერთმანეთი, შეიძლება ლიზამ სომხური იცოდა?

— ერთი სიტყვაც არ ვიცოდი, — დამარწმუნა ლიზამ თავისი დამტვრეული სომხურით...

— ტყვილად ამბობ! — მიუგო მელქონამ „ლავ“ (კარგი) იცოდი.

— ე! — მობეზრდა ლიზა — მხოლოდ ერთი „ლავ“-ით სომხური იქნება?

*) ფაკ — დაკეტილი.

და მელქონამ მომითხრო თავისი ამბავი, თავისი ცხოვრება, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი მრავალხალხიანი ნათელი კუთხეები, სადაც მწერალს თავისი კალმით, მხატვარს თავის ფუნჯით ჯერ არ გაუვლია...

2

...მელქონას წინადადება მისცეს აერჩია, ართიკ-ტუფი, ანი, პემზა ან ქანაქერჰესი.

ცოტახანს ფიქრის მერე მელქონამ იკითხა:

— სინათლის საქმე არ არის?.. ქანაქერჰესი რა საქმეა? რომ...

— იქ შენდება დიდი ელექტროსადგური.—

— ელექტროსადგური?.. ჩანს ჩემი საქმეა, სინათლის საქმე!..

— დიახ, მხოლოდ სადგური ახლად შენდება...

ხელახლად დაფიქრდა მელქონა:

— ე, უფრო უკეთესი! ვიმუშავებთ!..

და ორ ათეულ ოჯახებთან და ამდენივე და უფრო მეტ მარტოხელებთან ერთად ერევანში ჩამოვიდა და ფეხით ქანაქერჰესს ავიდა მელქონა.

აქ, ვინც ოჯახით იყო ცალკე ოთახში მოათავსეს. მარტო იყო მელქონა, მისი დედა გადაცვლილიყო ფიქსში, მამა კი მსხვერპლი გამხდარიყო იზმირის ხოცვა-ჟლეტვაში.

მელქონამ საბერძნეთიდან ჩამოტანილი საბანის ჭრელი საპირე კედელზე გააკრა, მასზე ჩამოჰკიდა გიტარა, ჩემოდანი საწოლის ქვეშ დასდო, ლოგინი გაასწორა და გარეთ გამოვიდა.

— კანტორა სად არის? — ჰკითხა მან პირველ შემხვედურს.

მიასწავლეს.

მელქონა კანტორაში შევიდა.

— რა გინდა ამხანაგო? — ჰკითხა მას ერთმა თავაზიანმა ახალგაზრდამ, — ახლად მოსული ხარ?

— მოსული ვარ... ე, რა უნდა გავაკეთო?..

— წადი, ცოტახნის შემდეგ ისადილებთ, დღეს დაისვენებთ, ხვალიდან საქმეს დაიწყებთ.

— ძლიერ კარგი...

და გამოვიდა კანტორიდან.

დაბა შემოიარა, შევიდა ოჯახიანთა საცხოვრებელში. თვითეულ ოჯახს დაეჭირა ერთი ოთახი. ისინი ხმაურობით ხსნიდენ ბარგს, პატარა ოთახებში ახერხებდენ მოწყობას.

მერე შევიდა თავის საერთო საცხოვრებელში. უცოლშვილონი მხიარული ჟრიამულით მიეგებნენ მას. მელქონას მეზობელი იყო ლოლო სარგისა. მას ლო-ლოს ეძახდნენ თავის გრძელი ფეხების გამო.

— სარგის, მოეწყე? — ჰკითხა მელქონამ და მიუახლოვდა თავის საწოლს.

სარგისა იწვა გულაღმა და თვალები ნაღვლიანათ მიეპყრო ჭერისთვის.

— არა მხედავ? აღასავით მოვეწყე, ყავას არ მიირთმევ?..

— რა გნებავს? — ჰკითხა მელქონამ, თან ჩამოჯდა თავის საწოლზე.

სარისა აფეთქდა:

— ეს რა არის? ცხვრები ვართ, თუ რა, ერთ ფარეხში რომ შეგვყარეს?.. ამისთვის მოვედით?..

— ცალკე ოთახი ოჯახიანებს ეძლევათ...

— ე! რო მცოდნოდა მეც ცოლს შევირთავდი... მაგრამ ვინ დარჩა?.. დუზლუანთ ოანესას ლამაზი ქალიშვილი ვითხოვო? ან თუ არა პოიაჯანთ ორმოცი წლის ქალიშვილი ფარიკა ვითხოვო გულის სახეთქად?.. კარგები დავკარგე, ერთი პემზაში, მეორე არტიკში.

— სულელი ხარ, სარქის? — დაარწმუნა მელქონამ, — ნელნელა შეირთამ...

— მოხუცების შემდეგ?.. არ მინდა!.. მე ამისთანა ცხოვრებას ჩვეული არა ვარ!

— ჩვეული არა ხარ: ნუ იცოცხლებ, — გაბეზრდა მელქონა.

სარქისა ზანტად წამოდგა, კედლიდან ჩამოიღო მელქონას გიტარა, დაუკრა ერთი ჰანგი, მალე მოწყინდა, გადააფურთხა და გარეთ გავიდა.

სადილობის დრომ მოაწია.

სარქისა დაჯდა მელქონას პირდაპირ. ის ცხვირაბზუებით ჭამდა:

— შაფანსკის არ მიირთმევთ მელქო ეფენდი?

3.

მოთხრა, აფეთქება. საამშენებლო მასალის მოგროვება — აი მუშაობა!

გაქცევა, დაწევა, მუშაობა — აი მელქონა.

უკმაყოფილობა, სიცილი, საქმის არ გაკეთება, გიტარის დაკვრა — ლო-ლო სარქისა.

ბოლი ავარდა, მთამ იჭექა და მელქონამ თეძოსთან მწარე ტკივილი იგრძნო.

ერთი პატარა ქვა ზედ თეძოსთან მოხვდეროდა. საშიში არა იყო რა, მაგრამ უაქიმოთ ტკივილის დაყუჩებაც საეჭვო იყო.

4.

აი საავადმყოფო.

აქ მელქონამ გაიცნო მოწყალების და ლიზა. ისინი ლაპარაკობდენ მუნჯურათ.

მელქონას მოეწონა, ძლიერ მოეწონა ეს ქერა, ლურჯთვალებიანი რუსის ქალი, იგრძნო აგრეთვე ის, რომ ლიზა თვალყურს ადევნებდა და ესმოდა მისი მუნჯური, რომ განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით, ეპყრობოდა, იგრძნო და დაღონდა.

— მისი ენა რომ ვიცოდე, ცოლათ შევირთავდი...

ერთ დღეს ლიზა არ მოვიდა. მოუთმენლობა დაეტყო მელქონას. ის იმდენად დაჩვეული იყო საწოლთან მოსიარულე ლიზას, რომ ამ დღეს, როდესაც ლიზა არ იყო, ბავშივით დაღონდა და ასე ეგონა, რომ ლიზას ველარ ნახავდა.

რატომ?, რატომ? ნუთუ მელქონამ ვერ მიახვედრა ლიზა, რომ უყვარს ის, რომ ძლიერ უყვარს! ე! ეს მხოლოდ მელქონამ იცის, თუ როგორ უყვარს ლიზა... მაგრამ მას რა ენაზე უთხრას ეს?

მოვიდა ექიმი, ის კმაყოფილი არ იყო ავადმყოფების მდგომარეობით.

— ლიზა ოქროა, — სთქვა ექიმმა — ნამდვილი დამკვრელი... [illegible] ლიზა, არ არის აქ წესრიგი.

— არ არის ლიზა, [illegible] და არც კანონი და არც მელქონა — გაიფიქრა მელქონამ და შეხო თეძოზე იარას, საბანი წაიფარა თავზე.

დილით მელქონამ გამოიღვიძა და გადასწყვიტა ჩაის შემდეგ მიემართა ექიმისთვის, რომ საავადმყოფოდან გამოეწერა.

კარებში გამოჩნდა ლიზას სახე.

მელქონამ სიხარულისაგან არ იცოდა რა ექნა! ის დაჯდა საწოლზე და ხელი მიიტანა გულთან. თან თავი გაიქნია.

ეს იმას ნიშნავდა, რომ მელქონას ძლიერ დანატრებოდა ლიზა, და იმასაც კი ნიშნავდა რომ უყვარდა ლიზა.

ლიზას კი ეგონა, რომ მელქონა ჩიოდა გულის ტკივილზე და მას რაღაც წამალი დაალევინა.

მელქონამ ხმაამოუღებლად დალია მწარე წამალი და უფრო დაღონდა.

— ენა! ენა! არ ვიცი, ჩემს უცოდინარობას რა უთხრა!..

4.

მე გამოვეწერე საავადმყოფოდან, — განაგრძო მელქონამ, — გამოვეწერე, მაგრამ მე ის მელქონა აღარ ვიყავი. სად წავსულიყავ, რა მექნა, გონება მიმიოდა. ისე გულით ველარ ვმუშაობდი. ზაფხულის წყნარ საღამოს ავიღებდი გიტარას, ვჯდებოდი ლიზას ბინის პირდაპირ ერთ ქვაზე და ვმღერებდი.

**ღამეები ნისლიანია!..**

მერე ლიზა გამოიხედავდა ფანჯრიდან. გამოიხედავდა თუ არა, მხიარულ ჰანგებს დავუკრავდი, წავიდოდა თუ არა, ნაღვლიან ჰანგებს დავიწყებდი, მერე მივიდოდი ფანჯარასთან:

— დამკვრელო! — მეუბნეოდა ლიზა, — დამკვრელობა კარგია? უსაქმურობა კარგი არ არის!

გავიგე მისი აზრი.

დამკვრელი ხარ, წამოგყვები, დამკვრელი არა ხარ, არ მინდიხარ.

მერე მან მე მითხრა **„ხოროშო“**. მე ვუთხარი **„ლავ“**, მაგრამ ერთი „ხოროშო“-თი და ერთი „ლავ“-ით სიყვარული იქნებოდა?

დავიწყე მუშაობა მთელის ძალ-ღონით, შევიგენი, რომ უსაქმურის სიყვარული კაპეიკად არ ღირს.

მოახლოვდა მუშათა კონფერენციის დღე.

იმ დღეს დაურიგეს დამკვრელებს საპატიო სიგელები და საჩუქრები.

— ლიზა კრომოვა! — წაიკითხა თავმჯდომარემ. ლიზა წინ წამოდგა, მან მიიღო დამკვრელობის საპატიო სიგელი.

— დავრჩი, — ვფიქრობდი მე, — ხელი შემიშალა წყეულმა გიტარამ, — და ვერ შევძელ მუშაობა...

— მელქონ ნათანიანი!..

მე ვერ გავიგე, როგორ მივედი სცენაზე, როგორ მივიღე დამკვრელობის საპატიო სიგელი, მაგრამ როდესაც დავბრუნდი, სკამებს შუა გამაჩერა ლიზამ.

— უდარნიკ?..

— უდარნიკ! უდარნიკ! ხოროშო! და მივარდი, ორივე ხელი ჩავჭიდე მის ხელს. იცინოდა ის და რაღაცას ამბობდა თავის ენაზე, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ჩვენ გვესმოდა ერთმანეთის ენა.

ორი დღის შემდეგ ქანაქერჰესიდან სამი სული ჩამოვიდა, — გაიღიმა მელქონამ და ზღაპრების კილოთი დაამთავრა თავისი მოთხრობა, — ერთი მელქონა იყო, მეორე ლიზა, მესამე მაჩის მოწმე: ამხანაგი ბარალამა...

თარგმანი: **ლ. კარაპეტიანისა.**

---

დით მოათავსა. ყოველთვის, როდესაც ოთახში შევიდოდა, მოწიწებით გადახედავდა ქანდაკებას, თან ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა, თითქოს ლოცულობსო.

ყოველთვის, როდესაც ალეკპერი მუშაობიდან საერთო საცხოვრებელში ბრუნდებოდა, გული სიხარულით უცემდა. და როდესაც შეეცადა გაეგო ამ სიხარულის მიზეზი, მიხვდა რომ მას იწვევდა შესანიშნავი აბრეშუმი, რომელიც ასეთი მზრუნველობით შეინახა თავის აიშესათვის. სახლში დაბრუნებისას თითქმის ყოველთვის აღებდა სკივრს, მოწიწებით იღებდა აბრეშუმს, ალერსით უსვამდა ხელს და ფიქრობდა იმ დღეზე, როდესაც გადასცემს მას თავის ცოლს. მერე, როგორ მოუხდება აიშეს წერწეტ ტანს ეს ოქროს ფერი აბრეშუმი! როგორ გაახარებს მის საწყალ ცოლს ეს საჩუქარი, რომლის მსგავსს სიზმარშიაც ვერ ნახავს.

მიღებულმა საჩუქარმა, მეტადრე აბრეშუმმა, ძალზე აღაფრთოვანა ალეკპერი, და მისი წერაქვი უფრო მედგრად შეუდგა ძველი კლდის მკერდის ნგრევას.

თომა ფეოფანოვი, ხედავდა რა, როგორ თავგამოდებით მუშაობდა სპარსეთიდან ახლად ჩამოსული მუშა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული მუშათა კლასის ინტერესები, თითონაც ერთი ორად უმატებდა მუშაობას და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ალეკპერს.

არც ერთ წუთს არ კარგავდენ ისინი უქმად, გულმოდგინედ ამსხვრევდენ მაგარ კლდეს, ხოლო შემდეგ „ბრმა მაღაროს“ შორეულ კუთხეში გაისმოდა დინამიტის ხმა.

— რა მზეა ირანში, — სთქვა როგორღაც ალეკპერმა და შემდეგ, თითქოს თავის თავს უპასუხებსო, განაგრძო: — მზე არის, მაგრამ სიღარიბეც აუტანელია. რაც უფრო აცხუნებს მზე, მით უფრო მწარეა გაჭირვება.

— მერე რატომ არ გადმოიყვან შენ ცოლშვილს? — ჰკითხა ფეოფანოვმა.

— უსათუოდ გადმოვიყვან, აღარ შემიძლია იქ დარჩენა. აღარ მინდა ის ქვეყანა ჩემი ქვეყანა არ არის იგი, ის შიმშილის, სიღარიბის და ვაჭრების ქვეყანაა.

ფეოფანოვი ხედავდა, როგორ იცვლებოდა ალეკპერი, როგორ იზრდებოდა მისი შეგნება, და ეს ძალზე ახარებდა. იგი კმაყოფილი იყო, რომ მათმა ამხანაგურმა ურთიერთობამ ასეთი დადებითი ნაყოფი გამოიღო.

— სად ნახავ ამაზე უკეთეს სამშობლოს? — ეუბნებოდა ფეოფანოვი. რა გაკლია? ქვეყანა შენია, ხელისუფლება შენია... რაც უფრო კარგად იმუშავებ, მით უფრო კარგად იცხოვრებ.

— ვფიცავ ალახს, მართალს ამბობ! — შესძახა ალეკპერმა. — როცა წინათ მეუბნებოდენ მაგას, არა მჯეროდა, ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ყოველივე ეგ სიმართლეა. ვმუშაობ კარგად და კარგადაც ვცხოვრობ, აბრეშუმიც კი მივიღე აიშესათვის. ირანში რით უნდა მეყიდა ასეთი აბრეშუმი, ჩემი ტილებით ხომ არა? ვმუშაობდი იქ ინგლისის გზებზე, ვამტვრევდი ქვას ოცი საათობით დღეში, მაინც მშიერი ვიყავი, აიშეც შიშველი დადიოდა, ხოლო ზეინაბი მუდამ ავადმყოფობდა. მართალი ხარ, ელდაშ თომა, ღარიბის სამშობლო აქ არის.

ასეთი საუბარი ახარებდა როგორც ფეოფანოვის, ისე ალეკპერის გულს, მაგრამ დიდ დროს მაინც არ კარგავდენ ამგვარ ლაპარაკზე. მათ კარგად ესმოდათ, რომ ლაპარაკი მუშაობის მტერია, და რადგან არც ერთს, არც მეორეს არ უყვარდა წერაქვის გაცდენა, გადასწყვიტეს საუბარს თავისუფალი დრო შეურჩიონ ხოლმე.

ალეკპერი გეზად გახედავდა კლდეს, თვალით გაზომავდა მის მდებარეობას და სიმაგრეს და შემდეგ მედგრად დაუშენდა წერაქვს. კლდეში ჩაჭედილი სანათი ოდნავ ბჟუტავდა. მისი მიმქრალი შუქი გაუბედავად დახტოდა ლურჯ კლდეზე და ბრწყინავდა დამდგარი გუბის ზედაპირზე. წერაქვი მძიმედ ამსხვრევდა კლდეს. ზოგჯერ გაძალიანებული კლდე ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა.

ალეკპერი მარცხენა მუხლით სველ ქვაზე დაეშვა. ასე უფრო ადვილად დაიმორჩილებს მაგარ კლდეს. კლდის დასაძლევად საკმაო არ არის ღონე, საჭიროა მოხერხებაც — მაღაროს მუშამ უნდა იცოდეს მოხერხებული პოზიციის არჩევა. ამ მხრივ ალეკპერი გონებაგამჭრიახი იყო და მოკლე ხნის განმავლობაში იმდენად დაოსტატდა, რომ არ ჩამოუვარდებოდა გამოცდილ და ძველ ოსტატს თომა ფეოფანოვს.

მალე მუხლში სისველე იგრძნო. მაგრამ ალეკპერი ყურადღებას არ აქცევდა და მედგრად ამტვრევდა შეუპოვარ ლოდს. როდესაც დაიღალა, მარჯვენა მუხლზე დაეყრდნო და გულმოდგინედ განაგრძო წერაქვის ქნევა.

ზევიდან ჩამოვარდნილმა წვეთმა სანათი ჩააქრო. ალეკპერი სწრაფად წამოდგა, მაგრა გაილანძღა და თავისი სანათი ფეოფანოვის სანათს მიუშვირა. კვლავ გაცოცხლებულმა სინათლემ თავისი მკრთალი შუქით ნელ-ნელა გააპო წყვდიადი.

— მე ალახი ვარ! — წამოიძახა ალეკპერმა და სანათი ძველ ადგილზე ჩამოჰკიდა.

კვლავ გაისმა წერაქვის ხმა, გაისმა უფრო ძლიერად და უფრო მედგრად.

გულმოდგინედ მუშაობდა ფეოფანოვიც. დრო და დრო ალეკპერს გადახედავდა. იგი აღტაცებული იყო ალეკპერის ერთგულებით. „რა საუცხოო ადამიანი იქნება, — ფიქრობდა თავისთვის ძველი მუშა, — კლასობრივმა ალღომ რომ უკარნახოს, რა დიდი მიზნებისათვის მუშაობს, მაშინ სასწაულებს ჩაიდენს“.

სპარსელ მუშებს, მეტადრე ახლად ჩამოსულებს, მომსახურეობას უწევდა სპეციალური სასადილო. შიიტ მაჰმადიანთა ჩვეულების მიხედვით, მართლმორწმუნე მაჰმადიანს არ შეუძლია სჭამოს სხვა სჯულის კაცის მიერ დაკლული პირუტყვის ხორცი, მის მიერ მომზადებული საჭმელი, არ შეუძლია ისადილოს არა მაჰმადიანთან; ყოფა-ცხოვრებაშიაც უნდა ერიდოს იგი, რამდენადაც შესაძლებელია, არა მაჰმადიანს. ამ მიზეზით სამადნოების სამმართველოს მათთვის მოწყობილი ჰქონდა სპეციალური პურის საცხობი, სასადილო და საჩაიე, სადაც ყველა, დაწყებული სალახით და გათავებული უბრალო მსახურით, სპარსელი იყო.

ალეკპერი ჩვეულებრივად სადილობდა სპარსულ სასადილოში, მაგრამ ამ დღეს იგი თომა ფეოფანოვმა მიიწვია — წაჰყოლოდა საერთო სასადილოში. ახსოვდა დღევანდელი ლაპარაკი მასთან და უნდოდა ყოფა-ცხოვრებითაც ჩამოეშორებინა იგი დანარჩენი თანამემამულეებისათვის.

მაგრამ ალეკპერმა უარი უთხრა: ჩვენს სასადილოში ამხანაგებთან ვსადილობ და იქ მირჩევნიაო.

— იქაც ამხანაგები არიან, რა განსხვავებაა? — მიუგო ფეოფანოვმა. — ან იქნება შენი ამხანაგები უსათუოდ წინადაცვეთილნი უნდა იყვნენ?

ალეკპერს გაეცინა. ერთგვარი სირცხვილი იგრძნო. მას აშფოთებდა იმდენად არა სხვა სჯულის კაცის მიერ მომზადებული სადილი, რამდენადაც სულ სხვა გარემოება, რომელზედაც არ უნდოდა ლაპარაკი ჩამოეგდო ფეოფანოვთან.

— დღეს ჩემი სტუმარი ხარ, — უთხრა ფეოფანოვმა, — ხვალ კი შენ იცი: გინდა მოდი ჩვენ სასადილოში, გინდა ჭამე შენი ჩომლაყი *).

ალეკპერმა უარი ველარ მოახერხა. ჩაფიქრებული გაჰყვა ფეოფანოვს.

სასადილოში უპირველეს ყოვლისა მისი ყურადღება მიიქცია ორმა მსახურმა ქალმა. ისინი ახალგაზრდა რტოებივით ხან ერთ მაგიდასთან დაიხრებოდენ, ხან მეორესთან. აღტაცებაში მოიყვანა ალეკპერი მათმა თეთრმა ხალათებმა, შუბლზე შემოვლებულმა თეთრმა თავსაკრავებმა და დაუცხრომელმა ფუსფუსმა მაგიდებთან.

— რუსები არიან? — იკითხა ალეკპერმა, რა წამს დასხდენ.

— ერთი რუსია, მეორე — ბერძენი.

— რუსი კარგია.

და გულში გაიფიქრა: „კარგი სასადილო ჰქონიათ „ურწმუნოებს“. ლამაზი ქალები ყოფილა აქ. ჩვენს სასადილოში კი ხედავ მხოლოდ გაუპარსავ ნიკაპებს“.

თვალს არ აშორებდა მსახურ ქალებს, მათ სწრაფ მოძრაობას. გაახსენდა თავისი ცოლი და, შეადარა ამ ორ გეზალს **), დაასკვნა, რომ რუსი აიშეზე უფრო ლამაზია. მაგრამ როგორ დაამშვენებს, როგორ გაალამაზებს უჩადრო აიშეს ოქროსფერი აბრეშუმი! და ალეკპერმა გაიფიქრა ჩადრის მოხსნაზე: მართლაც, რატომ არ უნდა დართოს ნება აიშეს მოიხსნას ჩადრი, როცა იგი სპარსეთიდან ჩამოვა. მაგრამ საკითხი იმდენად ძნელი და რთული აღმოჩნდა, რომ ალეკპერმა ვერ მოახერხა ასე ერთბაშად მისი გადაჭრა.

ვიდრე ალეკპერი ამ ფიქრებში იყო გართული, რუსმა ქალმა ღიმილით დაუდგა წინ წვნით სავსე საინი. ამ ღიმილმა დაავიწყა ალეკპერს, ვის მიერ იყო მომზადებული წვენი. შეექცეოდა წვენს და თან თვალს არ აშორებდა თეთრხალათიან ქალს.

წვნის შემდეგ მანვე მიუტანა კატლეტები. ალეკპერმა ის იყო აიღო ჩანგალი ხელში, რომ უცბად თავი დახარა და ფიქრს მიეცა.

— რატომ არა სჭამ? — შეეკითხა ფეოფანოვი.

კითხვა მოულოდნელი იყო. ალეკპერმა არ იცოდა რა ეთქვა.

— გავძეხი, — მიუგო მან ბოლოს.

ფეოფანოვს გაეღიმა. მან კარგად იცოდა, რომ ალეკპერს და ყველა სხვასაც, მით უმეტეს მაღაროს მუშას, ერთი საინი წვენი ვერ გააძღობდა. არა, აქ რაღაც სხვა მიზეზია.

— ალეკპერ, ნუ ატან ჭკუას ძალას. შენ ხომ მაღაროს მუშა ხარ და არა ქალი. არ დავიჯერებ, რომ უკვე გაძეხი.

— გეტყვი, ელდაშ თომა, ყველაფერს, თუ შენც მეტყვი სიმართლეს...

— კარგი, სთქვი.

— ეს კატლეტები ღორისა არ არის? მითხარ, გაფიცებ შენ ალახს!

— არა, ღმერთმანი, არ არის...

— ამბობ, არაო?

— თუ გინდა ვკითხოთ... ანტონინა!

ქალი სწრაფად მივიდა მათთან.

— რისგან არის დამზადებული კატლეტები? — სთქვა თურქულად.

ანტონინამ, რომელიც დიდი ხანია სცხოვრობს მუშათა მრავალერებიან უბანში, კარგად იცოდა როგორც სომხური, ისე თურქული.

— ძროხის ხორცისაგან, — მიუგო მან ღიმილით.

როდესაც ალეკპერმა ეს სიტყვები თავის მშობლიურ ენაზე გაიგონა, ამასთან ლამაზი ქალისაგან, გული სიხარულით აუთამაშდა.

— არ მატყუებ? — ჰკითხა მან და თვალებში ჩააცქერდა.

— ვფიცავ ყურანს, არ გატყუებ! — გადაიხარხარა ანტონინამ.

ალეკპერს მოეწონა ხუმრობა. მაგრამ ანტონინას სიტყვებმა ეჭვი მაინც ვერ გაუფანტეს. ამიტომ გაყო კატლეტი სამ ნაწილად და სწრაფად დაუღეჭავად გადაყლაპა, თითქოს პირში ხორცი კი არა, ნაკვერჩხლები ჩაიდოო.

— იცოდე, თუ ჯოჯოხეთში მოვყევი, შენც ჩემთან წამოხვალ! — გაეხუმრა წასვლის დროს ანტონინას.

— კარგი, წამოვალ! — მიუგო სიცილით მან.

„ამასთან არც ჯოჯოხეთია საშიში“, — გაიფიქრა ალეკპერმა.

საღამოთი თავის ტახტზე წამოწოლილი ალეკპერი დიდხანს ფიქრობდა. დილანდელმა საუბარმა ფეოფანოვთან მაღაროში, შემდეგ, სადილმა „ურწმუნოთა“ სასადილოში რაღაც ახალი, სასიამოვნო აღძრა მასში, ამავე დროს ყოველივე ეს საშინელებად ეჩვენებოდა. მან სიტყვა მისცა ფეოფანოვს, რომ ჩამოიყვანს თავის ცოლს აიშეს და ქალიშვილს ზეინაბს და გაიჩენს აქ ახალ სამშობლოს. „მერე ღირს კი ასე მოვიქცე?“ — ეკითხებოდა თავის თავს და თითონვე უპასუხებდა: „რა მქონდა სპარსეთში? მარტო ტანჯვა, მუდმივი გაჭირვება, მონობა. სამშობლო? რა არის სამშობლო? სამშობლო იქ არის, სადაც მუშაობ. სპარსეთში ყველაფერი სხვას ეკუთვნის — ხანს, ტაჯირს მირზას“.

ამგვარი მსჯელობის დროს ალეკპერს აკვირვებდა თავისივე თამამი, გაბედული აზრები. გრძნობდა, რომ მასში რაღაც ცვლილება ხდებოდა, მაგრამ როგორ და რანაირად — ვერ გაეგო. გაახსენდა ფეოფანოვი, შემდეგ სპარსელები, თავისი ამხანაგები; ზოგიერთი მათგანი უკვე მოეწყო აქ ცოლშვილით, და თითქოს არც ურიგოდ ცხოვრობდენ. ფიქრობდა თავის დღევანდელ საქციელზე — სადილზე „ურწმუნოთა“ სასადილოში და თვალთაგან არ შორდებოდა ორი თეთრი ჯეირანი.

„ნუ თუ ცოდვა ჩავიდინე?“ — ეკითხებოდა ალეკპერი თავის თავს. და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნას დაადგა, რომ არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია. საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ღეჭავდენ მისი თანამემამულენი „ურწმუნოთა“ სასადილოში ღორის ხორცს, — აქ ალეკპერს გულიც კი აერია, — და თუ ამდენი ხალხი ჯოჯოხეთში მოჰყვება, დეე ისიც მათთან იყოს. მით უმეტეს, რომ არც ის თეთრ ხალათიანი ქალიშვილები ამბობენ უარს ჯოჯოხეთში წასვლაზე. ალეკპერს გააჟრიალა. აზრები აერია, და როგორც მოწაფე, რომელიც გამოცდებისათვის ემზადება, თავიდან შეუდგა ფიქრს.

რაც შეეხება აიშეს ჩამოსვლას, — ეს საკითხი მან თითქოს უკვე გადასწყვიტა. მაგრამ ეჭვები მოსვენებას არ აძლევდა. ერთხანს გაიფიქრა — შეეკითხოს თავის თანამემამულეებს. მაგრამ როცა ზანდუკისკენ გადაიხედა, რათა თვალი გადაევლო აიშეს აბრეშუმისათვის, ეჭვები საბოლოოდ გაეფანტა. აიშე უნდა ჩამოვიდეს, უნდა გამოეწყოს ამ აბრეშუმში, რომ რუსს ქალიშვილზე უფრო ლამაზი გამოჩნდეს.

ალეკპერი დიდხანს ტრიალებდა მოუსვენრად ლოგინში, და ტახტის ჭრიალი ყრუდ გაისმოდა ოთახში.

თარგმანი: **ილია ალლაძის.**

*) ჩომლაყი — სპარსული საჭმელია.

**) გეზალ — ლამაზი ქალი, მზეთუნახავი.

# გავაძლიეროთ მზრუნველობა ახალ კადრებზე

## სკეპტიციზმის შხამით მოწამლული

„სალიტერატურო გაზეთი“-ს წინა ნომერში დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტ. გ. შატბერაშვილის ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“.

რომელი ეპოქის ან რომელი კლასის ახალგაზრდებს მიმართავს პოეტი ამ ლექსში? პირველი პწკარები თითქოს გვეუბნებიან, რომ ადრესატი აღმავალი კლასის, სოციალიზმის მშენებელი კლასის ახალგაზრდობაა. მართლაც, ვის შეუძლია უთქვას ქვემოდმოყვანილი სტრიქონები, თუ არა იმ კლასის ახალ თაობას, რომელიც ჰქმნის უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას?

> ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულისა,
> ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება,
> ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკისა
> წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას.

სრული ჭეშმარიტებაა. თუ სოციალიზმი ახალი კაცობრიობის გაზაფხულია, თუ იგი გარდაქმნილი მსოფლიოს სიჭაბუკეა, მაშინ ჩვენი ახალგაზრდობა დიაღაც არის ამ გაზაფხულის შტოები და ამ სიჭაბუკის რიჟრაჟი.

დიდი ოქტომრის ახალი თაობა უდავოთ მიიღებს და შეიფერებს შემდეგ ეპიტეტებსაც:

> „ჩვენ ვართ ქუხილის შემდეგ მოსული
> ვარდმაისობის შხაპუნა წვიმა,
> ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს
> და აღტაცებას გაუტაცივართ!

საბჭოთა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას სრული საფუძველი და უფლება აქვს თავის [...]ზე ასე ილაპარაკოს. ეს არ იქნება გადაჭარბება და სინამდვილის დამახინჯება, რადგან დიდი ოქტომბრის ქუხილის შემდეგ მოსული და უდიდე[...] სოც. მშენებლობის ფერხულში ჩაბმული ახალგაზრდა ენტუზიასტები მართლაც მაისის შხაპუნა წვიმასავით საკუთარი ოფლით რწყავენ სოციალისტურ მინდვრებს, აღტაცებით და თავგანწირვით აშენებენ ინდუსტრიის გიგანტებს, იპყრობენ მეცნიერების და ტექნიკის მწვერვალებს, იმორჩილებენ ყინულოვან ოკეანეებს, აშრობენ ჭაობებს, აგებენ არხებს, ცვლიან ქვეყნის გეოგრაფიას. ასე რომ მეორე ტაეპში მოყვანილი მეტაფორებიც აზრიანია და სწორად გამოხატავენ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდეს როლს და მათ მისწრაფებებს. ამ ორი ტაეპის მიხედვით, სოცმშენებლობის ყოველ დამკვრელ ახალგაზრდას შეუძლია იფიქროს, რომ წერილი მის მისამართზეა გაგზავნილი, მაგრამ შემდეგი სტრიქონები მას სასტად დასტოვებს და დიდად გააკვირებს — იმდენად არ ეთანხმება ამ ტაეპების ტონი პირველ 8 სტრიქონში გამოთქმულ განწყობილებებს,

> „დავდივართ ქვეყნად, შევსცქერით ზეცას,
> გზა გაშლილია არავარდებს,
> არა დაფნების, როგორც ოდესღაც
> ხატავდა სიყრმის შარავანდედი“.

ეს უკვე არის სრულიად უცხო სახე, დარდით და ჭმუნვით მოცული, ეს არის სინანული და წუხილი იმედგაცრუებული ადამიანის რომელიც უმიზნოდ, უსაქმოდ დადის, ნაღვლიანად შესცქერის ზეცას იმის გამო, რომ არ გაუმართლდა სიყრმის იმედები — არ დახვდა ვარდებით მოფენილი გზა და არ დაადგეს თავზე დაფნის გვირგვინი. სოციალიზმისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ამ სახეში ვერ იცნობს თავის თავს, რადგან სიყრმის ოცნება არასოდეს არ უხატავდა მას ვარდებით მოფენილ გზას, არც დაფნის გვირგვინს პირდებოდა; პირიქით ყრმობის წლებიდანვე მას მოუწოდებდენ — მუდამ მზადყოფნილიყო ბრძოლისათვის. და ჩვენი სახელოვანი წითელ დროშოვანი ახალგაზრდობა გადაუხვევლად მისდევდა და მისდევს ამ მოწოდებას: ყოველ უბანზე იგი თავგამოდებით იბრძოდა, იბრძვის და ამ თავდადებისათვის იგი არც მოითხოვს დაფნებით შემკობ მისი შუბლი[...] საბჭოთა ქვეყანა დაფნებით არავის მოსავს, მხოლოდ შრომის და ბრძოლის ორდენით აჯილდოვებს, ხოლო ეს ჯილდო კი, არა ერთი და ორი ახალგაზრდა გმირის მკერდს ამშვენებს.

ცხადია, ლექსის ავტორი არა ამ ახალგაზრდებს გულისხმობს თავის წერილის ადრესატად. რომ ეს ასეა,—ამას ადასტურებს შემდეგი სტროფები:

> „რა არის ჩვენთვის ბავშვობის დღენი?
> შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს
> ვარდობის თვეში გაშლიან ხენი!
>
> მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან
> არ განუცდიათ პირქვე დაცემა.
> ჩვენ ჭაბუკები ერთად ვყოფილვართ
> ერთად შევესწროთ დავაჟკაცებას.

გადავთარგმნოთ ეს პოეტური სახეები ლოღიკის ენაზე. რას ნიშნავს ეს?

— ჩვენი ბავშობის დღეები,— ამბობს პოეტი,— შემოდგომაზე დაცვენილი ფოთლებია, მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, გაზაფხული ისევ დადგება და ჩვენც კვლავ შევიმოსებით ფოთლებითო. არ საჭიროებს განმარტებას, თუ რას უწოდებს პოეტი შემოდგომას. ეს არის ჩვენი თანამედროვეობა, რომლის სუსხმა დააჭკნო მათი ახალგაზდობის ფოთლები, რომლის სიმძიმემ პირქვე დასცა პოეტი და მისი ტოლამხანაგები. იმავე აზრების და განწყობილების ვარიაცია და უფრო გაღრმავებაა ამ ტაეპის მომყოლი სტრიქონებიც.

> „აიყრებიან შემდეგ შტოები:
> ნამში, წვიმაში რტოგაუხრელად,
> გაშლიან ჩრდილებს განმარტოებით
> და გადგებიან განზე მუხებად!
>
> და თუ კი სხედან ბუდეში სადმე
> ნორჩი ბარტყები ქარიშხლებისა,
> ეტყვიან ქებას ამ წელიწადებს
> და არწივებად აიშლებიან“...

მაშასადამე, გვამცნობს პოეტი, — დღესდღეობით ნორჩი მუხები მიწაზე არიან გართხმულნი. მათ შტოებში ბუდობენ ქარიშხლის ბარტყები, რომელნიც გამოდარებისას არწივებად აიშლებიან. ამ იმედით,—განაგრძობს პოეტი,—

> „დავდივართ ქვეყნად, შევცქერით ზეცას
> ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს
> და ახალგაზრდებს სულით ჩვენგვარებს
> შევხვდებით სადმე დიდ მომავალში“.

ამ სტრიქონებში და საერთოდ მთელ ლექსში გამოთქმულია ა რ ს ე ბ უ ლ ი თ  დ ა უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ლ ო ბ ა, თანამედროვეობის უარყოფა, ჩვენი სინამდვილისგან გაქცევა, იმედდაკარგულის სკეპტიციზმი. პოეტი ფიქრობს, თითქოს ჩვენი ეპოქა ვერ ანაღდებს იმ იდეალებს, რისთვისაც იბრძოდენ ძველად. რა იყო ეს ძველი იდეალები, ამაზე ავტორი თითქოს არაფერს გვეუბნება.

> „...... მათ გმირულ ნიშანს.
> ვინც მიგვიძღოდენ გზაზე ხველებით,
> ვინც სახჩობელას არ დაერიდა,
> და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს....
> ვინც გადალახა ბნელი კატორღა
> და გაიტანა ხალხში ნაჯახი“.

თუ ლექსის ავტორს დაუჯერებთ, ამ კატორღელთა სულები ახლანდელი ვითარებით, საბჭოთა სინამდვილით ერთგვარად შეშფოთებული არიან და მოუწოდებენ პოეტს და მის ტოლმეგობრებს—განაგრძონ მათი გზა,

> „ციმბირის გზებზე, კატორღის გზებზე,
> შემხმარი სისხლი მდუმარე ლოდზე...
> ყოველი წვეთი ჩვენ ძარღვს დაეძებს
> გამოდის ჩვენში და მოგვიწოდებს:
> ახ, მეგობრებო! ცხელ უდაბნოში
> დამარხულ ჩონჩხის ჩამქრალი სწრაფვა
> მოგვაგონებდეს სულს შეშფოთებულს
> სულს ამბოხებულს და მიუსაფარს“.

და პოეტიც ამ შეშფოთებულთა სულებს აძლევს აღთქმას:

> „რომ არა ერთი მგზავრი ჭაბუკი
> მათი თვალებით დაიწყებს მზერას
> და ვით ფარვანა სინათლის ირგვლივ
> შემოვკრებთ თვალებს მიზნის გარშემო.

გასაგებია, თუ რა მიზანს გულისხმობს ავტორი, მაგრამ ვინ დაუჯერებს ამხ. გ. შატბერაშვილს, გაბოროტებულ და განადგურებულ კლასობრივ მტრის გარდა. თამამად შეუძლიათ მომავალ განწირულ კლასების ნაშთებს ეს ლექსი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, რადგან დღეს ამ ენით ლაპარაკობს და ხშირად თავის მფარველად მისტიურ სულებს,—აჩრდილებს მოუხმობს ის, ვისაც ოქტომბრის გრიგალმა მართლაც რტოები დაამტვრია და ძირფესვიანად მოთხარა.

მხოლოდ განაბულ კლასებს მიაჩნიათ (მათთვის არის კიდეც) უკლასო საზოგადოების მშენებლობის ეპოქა ქარიშხლიან შემოდგომად და სუსხიან ზამთრად; მხოლოდ მათი პირიდან თუ ამოვა ასე ნაღვლიანი, სასომიხდილი სიმღერა. გ. შატბერაშვილი ნებსით თუ უნებლიეთ გახდა მათი განუკურნავი ტკივილების გამომხატველი, მათი ოდნავი მბჟუტავი იმედის საყვირი—ასეთია ამ ლექსის ნამდვილი დედააზრი, ასეთია ამ ლიტერატურული ფაქტის პოლიტიკური ექვივალენტი. რა არის იმის მიზეზი, რომ პოეტში დაისადგურა ისტორიულად განწირული ხალხის უსასოებამ, უმიზნო უარყოფისა და მკვდარი სკეპტიციზმის შხამმა? ამ კითხვაზე არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი. პოეტი მოწყდა ახალგაზრდა ენტუზიასტთა შრომის საღ ატმოსფერას.

ჩვენ გაბედულათ უნდა ვამხილოთ ყოველგვარი მტრული გავლენები ჩვენს ლიტერატურაში.

ვ. წულუკიძე

## მავზოლეიში

> ბრწყინვალე ხსოვნა დიდი ბელადის მშრომელთ გულებში ჩამარხულია.
> და ნაქარიშხლევ მოსკოვის ქალაქს მძლავრ ინდუსტრიის ცა ახურია.
> ლენინის ძეგლი დედამიწიდან ვარსკვლავებამდე აზიდულია.
> გზა — ლენინიზმი ბრწყინავს მუდმივათ, ყველა ჩაგრულებს ამ გზით უვლია.
>
> აღმოსავლეთის დევნილი ძმები ამ გზას ეძებენ ღამით და დღისით.
> ამ გზის ძებნაში როგორც მდინარე გადმოინთხევა იმათი სისხლი.
> მაგრამ ისინი გმირულ ბრძოლებით გაიმარჯვებენ ადრე თუ გვიან..
> ისე ვით ჩვენში დღითდღე იმარჯვებს ეს შავი ოქრო—მეტალურგია.
>
> სოფელს და ქალაქს შავბნელი ნისლი ლენინის საქმით აღარ ებურვის.
> საკაცობრიო მიზნებისათვის იბრძვის პარტია რკინისებური.
> ილიჩი დიდი მშენებელია, რკინის ეპოქის უმტკიცეს ფუძის.
> მართლხატვა დიდი ილიჩის შუბლის, მრავალ შემოქმედთ უცდიათ ფუნჯით.
>
> ახკომკავშირელ მოქანდაკეებს მშვენიერი და ფერად-ფერადი,
> მარმარილოსგან გამოკვეთათ მღიმარე სახე დიდი ბელადის.
> სახელი: „ლენინ“ ირხევა ყველგან. სახელი: „ლენინ“ დუშმანთ აშინებს.
> სახელი: ლენინ დაიქუხებს და თვით მატერიკებს შეაკავშირებს.
>
> მავზოლეიში ძინავს გენიოსს, სიფხიზლის უნარს ძილი ვერ ართმევს.
> მზე დიდებული შექმნა ლენინმა, ის მზე რომელიც გვათბობს—გვანათებს.
> ყოველ საღამოს კრემლის საათი ერთაშორისო ჰიმნებს დაუკრავს,
> და მთელ მსოფლიოს რადიო-ტალღა ძველი ქვეყნისას ამცნობს დაღუპვას.
> მარად უძლეველ საბჭოთა კავშირს მძლავრ ინდუსტრიის ცა ახურია.
> ბრწყინვალე ხსოვნა ჩვენი ილიჩის სათუთად გულში შენახულია.

გრიგოლ აროსია

## წითელ მეტალურგებს

> ადუღებული ტენდერი
> გამქროლებელი მანქანის,
> მხაზველობს რეისფედერი
> სწერს დიდებული ფანქარი!
> ვერცხლეულობის სამადნო
> დიდიხანია მძინარე,
> დავსცეთ ელდენი დავადნოთ
> წამოვაყენოთ მდინარე!
> ავაღუღუნოთ ღუმელი
> ამოვსებული მადანით,
> კომკავშირულად ვუმღერი
> თქვენი მარჯვენის ბადალი!
> არქტიკის გოლიათები
> გახელებული პურგები,
> მოვდივართ მოვიმართებით
> წითელი მეტალურგები!
> ერთმანეთს დაუკავშირდით
> ვით შენადნობი ფეროსი,
> ბრძოლაში ბრძოლას გაეშლიდით
> საერთო სასიმღეროსი!
> გამოქანებულ ელდენებს
> ღუმელებივით ვეკვეთოდ,
> თუ სადმე ცეცხლი შენელდეს
> სისხლი მიუშვათ ელექტროდ!
> გამბედაობას გვიმატებს
> ჯანსაღი სხმულის ხარისხი.
> მანქანის მომცემ გიგანტებს
> ჩაუდგათ გულში ხალისი!
> თვალის-ჩინივით მოვეპყრად
> რთულ და ტექნიკურ დანადგრებს,
> ლითონის მოსაპოებლად
> კავკასიონებს დავანგრევთ!

მიხეილ ფოფხაძე.

## სამხედრო ცხენს

> ბალახს ძოვ ლურჯავ,
> გადმოგყრია მხრებზე ფაფარი
> ხარბად მოძოვე,
> ნოყიერი ბალახი გარგებს...
> როგორც ყოფილხარ უფრო მეტად იყავი ჩქარი,
> რომ გვიწოდებდენ
> ჩვენ ორთავეს ყველაზე კარგებს.
> არა გაქვს დარდი,
> გამარაგებ სიმინდით, ქერით,
> პირველ შეხედვით
> გცნობენ, რომ ხარ სამხედრო ცხენი,
> თვალწარმტაცი ხარ,
> ვერ გაძღება კაცი შენს ცქერით,
> იცი ბრძოლა და
> არ იქნები ჩემი შემრცხვენი.
> თვალს აბრიალებ,
> შენს შეხედვით მტერს შეაჟრჟოლებს,
> ცხელ დედამიწას
> დაღებს ამჩნევ, როცა ცემ ნალებს,
> თუ ასტყდა ომი,
> ქარიშხალი მძლავრად იქროლებს,
> მაშინ მე და შენ
> დაუყენებთ თვალებს მტარვალებს.
> მჯერა ბრძოლაში
> არ დაიხევ ლურჯავ ჩემო,
> არ გეყოლება, როგორც მებრძოლს
> ცხენო ბადალი:
> ნურვინ ეცდება
> შეგვინგრიოს გულმკერდის ფარი,
> ჩვენი საზღვრები დაბრიყვებით გადმოიარონ,
> მაშინ განრისხდი,
> აწეწე ცხენო ფაფარი,
> მტერი გათელე მოკალი და
> არ შეიწყნარო..
> გადაშლილია
> საბალახო ფართო მინდორი,
> იქიდან გიცქერ
> სადაც გრილო გართხმულა ნუშის,
> გაიხრიხება
> ჩვენი მტერი შენს ძლიერ ტორით,
> მე და შენ ორნი
> ვართ სამხედრო დიდ სამსახურში,
> ეხლა ბალახს ძოვ,
> გადმოგყრია მხრებზე ფაფარი,
> ხარბად მოძოვე,
> ნოყიერი ბალახი გარგებს,
> როგორც ყოფილხარ
> უფრო მეტად იყავი ჩქარი,
> რომ გვიწოდებდენ
> მტკიცე მხედრებს, ყველაზე კარგებს,

შ. სამადაშვილი

## ბრძოლა ახალი შემოქმედებითი კადრებისათვის

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო [ყრი]ლობის დღის წესრიგში დასმულია საკი[თხ]ი ახალ შემოქმედებითი კადრებთან მუშა[ობი]ს შესახებ. ეს შემთხვევითი გარემოებით [არ] არის გამოწვეული. ახლოხან გამოქვეყნე[ბულ]ი მწერალთა კავშირის წესდება სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის ერთერთ ძირითად ამოცანას ახალი სამწერლო კადრების აღზრდას და დაწინაურებას სახავს. ამაში მდგომარეობს ჩვენი ლიტერატურული ზრდის, საერთოდ საბჭოთა მწერლობის მიერ საკუთარი ჩამორჩენილობის დაძლევის ერთერთი გარანტია.

ეს ახალი კადრები ხარისხობრივად განირჩევიან საბჭოთა მწერლობის იმ ძალებისაგან, რომლებიც დღეს შეადგენენ ჩვენი სალიტერატურო ფრონტის ძირითად აქტივს. ეს ახალგაზრდობა დაბადებულია და აღზრდილი პროლეტარული რევოლუციის გარემოცვაში ორგანიულად და ღრმად არის დაკავშირებული სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან, შეიარაღებულია ამ პრაქტიკის კონკრეტული ცოდნის მარაგით და მსოფლმხედველობრივად გამსჭვალულია რევოლუციონური პროლეტარიატის საბრძოლო მიზნებით და ამოცანებით. ეს ახალგაზრდობა დატვირთული არ არის წარსულის ლიტერატურულ-ესტეტიური ტრადიციებით.

ყოველი ქვეყნის და კლასის ლიტერატურა ზრდის თავის შემცვლელ თაობებს. მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ახალი ძალების სწრაფვას ისეთი მასიური ხასიათი არ მიუღია, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში. ეს აიხსნება მუშათა კლასის სწრაფი კულტურული ზრდით. საუკუნოებით შეხუთული და ხელოვნურად დახშული შემოქმედებითი პოტენცია მშრომელი მილიონებისა, რომელმაც ჩვენს პირობებში ჰპოვა გაშლის და ამოქმედების უფართოესი გასაქანი ახალი ძალებით ამდიდრებს ხელოვნებისა და მწერლობის ფრონტს.

მაგრამ მწერლობისადმი ამ ახალი ძალების სტიქიური სწრაფვა დაკავშირებულია უდიდესი სირთულისა და პასუხისმგებლობის ამოცანასთან.

ლიტერატურული ფრონტის ძველმა ხელმძღვანელობამ — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ვერ უზრუნველყო ეს მეტად საპასუხისმგებლო უბანი შესაფერ ყურადღებით და მუშაობის მიზანშეწონილი მეთოდებით. ასოციაციის ხელმძღვანელობამ ახალ კადრებთან შემოქმედებით მუშაობის საქმე შესცვალა საკამპანიო „გაწვევებით“. ცნობილია, რომ ასოციაციამ მასიურად „გაიწვია“ მწერლობაში წარმოების საუკეთესო დამკვრელი მუშები. მაგრამ ეს გაწვევა დამთავრდა გაწვეულთა ფორმალური რეგისტრაციით, ხოლო მათთვის შემოქმედებითი დახმარების ხაზით მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლის პროცესში მასიურ ლიტერატურულ მოძრაობის საკითხებს და განსაკუთრებით ახალი შემოქმედებითი კადრების აღზრდის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სალიტერატურო წრეების ქსელის თანდათანობითი განმტკიცება, ახალ შემოქმედებითი კადრებისათვის კონსულტაციის და რეგულიარული შემოქმედებითი დახმარებისათვის სპეციალური ორგანიზაციის შექმნა—სალიტერატურო საკონსულტაციო კაბინეტის სახით, ახალი შემოქმედებითი კადრების პროდუქციის ბეჭდვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით სპეციალური ჟურნალის დაარსება „ახალგაზრდა მწერალის“ სახელწოდებით, ახალგაზრდა კადრების შემოქმედებითი საღამოების მოწყობა—აი ის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდებოდენ უკანასკნელ წლებში ახალი კადრების აღზრდის მიმართულებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება შეიცავდა და შეიცავს დღესაც მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მუშაობა ახალი კადრების აღზრდის ხაზით დღემდე არ არის დაყენებული იმ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს ჩვენგან ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა და სერიოზულობა. დღემდე უზრუნველყოფილი არაა სალიტერატურო წრეების რეგულიარული მუშაობა. მათი საქმიანობა ჯერ კიდევ არაა ისე გარდაქმნილი, რომ ეს წრეები ნამდვილად წარმოადგენდენ მუშათა კლასიდან წამოსულ მხატვრულ შესაძლებლობათა დაწყებითი გამოვლინების ძირითად უჯრედებს და საბჭოთა მწერლობის მიღწევათა მასიური პროპაგანდის დასაყრდენ წერტილებს.

ჩვენ დღემდე ვერ განვახორციელეთ ახალგაზრდა მწერლებზე ჩვენი ლიტერატურის კვალიფიციურ ოსტატთა ინდივიდუალური ხელმძღვანელობის ამოცანა. ფაქტიურად ეს საქმე შემოიფარგლა მხოლოდ იმ რამოდენიმე კვალიფიციურ მწერალთა მოღვაწეობით, რომლებიც უშუალოდ ჩაბმული არიან საკონსულტაციო კაბინეტის აპარატში. კაბინეტთან განზრახული კოლექტიური შემოქმედებითი ფორმების გაშლა ვერ მოხერხდა.

ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი“ დღემდე ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს თავის ირგვლივ ახალგაზრდა შემოქმედებითი აქტივის შემოკრებისა და მათთან რეგულიარული აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად.

ყოველივე ეს ნაკლულოვანებანი მთელი სიზუსტით უნდა იქნან ჩვენს მიერ აღნუსხული და გათვალისწინებული, რათა საკავშირო ყრილობის შემდეგ ახალ ეტაპზე ავიყვანოთ შემოქმედებითი ახალგაზრდობასთან მუშაობის საქმე და ამ სფეროში ნამდვილ გარდატეხას მივაღწიოთ.

ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩვენ უკვე მოგვეპოება დამწყებ მწერალთა საკმაო მდიდარი კადრები, რომლის არა ერთი წარმომადგენელი უკვე პერიოდულად იბეჭდება ჩვენს სამხატვრო-სა[ლიტე]რატურო გამოცემებში და ენერგიული ნაბიჯებით იწყებენ შესვლას სალიტერატურო ცხოვრებაში. უკანასკნელი წლის განმავლობაში გაზეთ „მუშამ“ რამოდენიმე სპეციალური გვერდი მიუძღვნა დამწყებ მწერლებს. რეგულიარულად ბეჭდავს დამწყებ მწერალთა პროდუქციას ჟურნალი „დროშა“. რამოდენიმე ნიმუში ახალი კადრების შემოქმედებისა დაიბეჭდა „სალიტერატურო გაზეთის“ და „მნათობის“ ფურცლებზედაც. „ფედერაცია“-მ ცალკე წიგნათ გამოსცა ახალგაზრდა პოეტის **დოლიაშვილის** წიგნი „ლექსო ირაჟული“. სახელგამი ამჟამად სცემს დამწყებ მწერალთა ბელეტრისტული პროდუქციის მთელ კრებულს. როგორც სჩანს ახალი კადრების შემოქმედების წახალისებისა და ბეჭდვისათვის უკვე შექმნილია რეალური ბაზა და ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში საკმაო პროდუქცია იქნა დაგროვილი. მაგრამ ჩვენი ახალი შემოქმედებითი კადრების დასახასიათებლად ძირითად მასალას გვაძლევს ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალის“ დღემდე გამოსული სამი ნომერი.

ვინაიდან ჟურნალის ამ ნომრებში მოთავსებული ბელეტრისტული ნაწარმოებები წარმოადგენენ მხოლოდ ნაწყვეტებს, რომლებიც ვერ გვაძლევს საკმაო წარმოდგენას მათ ავტორთა შემოქმედებითი პოტენციის შესახებ, ამიტომ ჩვენ უმთავრესად შევეხებით ჟურნალში გამოქვეყნებულ პოეტურ პროდუქციას.

მთლიანად აღებული დამწყებ მწერალთა პოეტური პროდუქცია უეჭველად ხასიათდება თემატიური სიახლით და აქტუალობით. ახალგაზრდა ავტორები თავის შემოქმედების ზრდას მჭიდროდ უკავშირებენ სოციალისტური დღევანდელობის თემატიურ დაუფლებას და მის რეალისტურ გამოხატვას სოციალისტური განვითარებითი ტენდენციის თვალსაზრისით.

პირველ რიგში ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ახალი კადრების ზრდის მტკივნეული მხარეები და ნათელი გავხადოთ ისინი პირველ ყოვლისა თვით ახალგაზრდა კადრებისათვის, რათა ამ თავითვე ეს ძირითადში ჯანსაღი და ძლიერი მოძრაობა დაზღვეული იქნას შემაფერხებელი ავადმყოფური მომენტებისაგან.

დამწყებ მწერალთა შორის ყურადღებას იპყრობს **ზაქრო დოლიაშვილის** შემოქმედება. მან გამოაქვეყნა მთელი რიგი ლექსებისა და აგრეთვე პოემა „ლექსო ირაჟული“. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დოლიაშვილი ამ პოემის შემდეგ გვაძლევს არა ზრდისა და წინსვლის, არამედ შემოქმედებითი უკან დახევის ნიმუშებს. მისი ახალი პოემა „ლოთი“ წარმოადგენს ამ დებულების აშკარა საბუთს. თუ „ლექსო ირაჟულში“ ავტორმა მოგვცა სინამდვილის მეტად რეილური და დამაჯერებელი ეპიზოდები, პოემა „ლოთი“ წარმოადგენს გამოგონილ ამბავს, რომელსაც არა აქვს დამაჯერებლობის ძალა. პოემაში აღწერილი სიტუაცია: ცხოვრების უკუღმართი პირობების გამო გალოთებული მუშის უეცარი გარდაქმნა, რამოდენიმე წუთის განმავლობაში წარმოებული დიალოგის შედეგად, სტოვებს კურიოზულ შთაბეჭდილებას, ამავე დროს დოლიაშვილი ამ პოემაში ასუსტებს პასუხისმგებლობას მხატვრულის მხვრივაც.

პოემა შესრულებულია მდარე პოეტური საშუალებით. ავტორი ხშირად გვაწვდის გალექსილ პრიმიტიულ „სიბრძნეს“, რომელიც ხშირად კურიოზულ ხასიათს ღებულობს, მაგალითად:

> „ამაო არის ბებიის ხელით
> დღეს განწირული სხეულის დაცვა
> განვლილ გზას კვლავ წინ ნულარ ვინ
> ელის,
> ცხოვრებამ კითხვა ამგვარად დასვა.

ან კიდევ:

> ოჯახს რათ ათვლი შემცდარ ნაბიჯებს
> არის ცხოვრების მიზნის სისწორე
> სიცოცხლეს მაშინ რაღა ფასი აქვს
> თუ რომ კუნძივით მარტოდ იგორებ“.

ეს სტრიქონები ცხადყოფენ რომ, დოლიაშვილი უკვე გაიოლებული გზით იწყებს მუშაობას. ამიტომ საჭირო ხდება ჩვენი ახალი სალიტერატურო კადრების წინაშე მთელის სიმახვილით დავაყენოთ საკითხი მხატვრული ხარისხის შესახებ და მოვითხოვოთ მათგან ლიტერატურული საქმისადმი დიდ პასუხისმგემლობითი მიდგომა.

ლიტერატურული ვარჯიშობის ნიმუშებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ადგილი ჩვენს მხატვრულ პრესაში. ახალგაზრდა მწერლის პროდუქციის ბეჭდვა უნდა ხდებოდეს უეჭველად ხარისხობრივი კრიტერიუმის მომარჯვებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგად მივიღებთ ახალგაზრდა კადრების დისკრეტიზაციას მკითხველი მასების თვალში. მაგალითად: ჟურნალ „დროშა“-ს № 10-ში მოთავსებულია ამხ. **მათიაშვილის** ლექსი. იგი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს პოეტური შემოქმედების ნიმუშს და მათი დაბეჭდვაც მოკლებულია აზრს. ჩვენმა რედაქციებმა უნდა აიღონ მტკიცე კურსი ახალგაზრდათა პროდუქციის ბეჭდვის საქმეში და არავითარ შემთხვევაში არწაახალისონ ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის თვითკმაყოფილებით აღნიშნული განწყობილებანი.

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაში ხშირად ადგილი აქვს არა კონკრეტული, განყენებული რიტორიკის შემთხვევებს. მაგ; დამწყები პოეტი **გრ. აროსია** სწერს:

> ახალი ლექსის ენტუზიასტებს
> მკერდში გვინთია ელექტრო ჭალი.
> სასტიკი ბრძოლა გვახასიათებს
> და ფოლადივით სიმღერა სალი.
> გვებრძოდენ მტრები გაშმაგებულად,
> სისხლის რუები შესვენ მიწებმა.
> ბრძოლა ჯერ აღარ დამთავრებულა,
> დიდი ბრძოლები ისევ იწყება“.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ ავტორი იგნორებს პროლეტარული მწერლობის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ განვლილ ტრადიციებს კოსმიურ-აბსტრაქტიულ რიტორიკისა. ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალებმა უსათუოდ თავი უნდა დააღწიონ ამ ტენდენციას და თავისი შემოქმედება გაშალონ კონკრეტულ პრობლემებისა და სინამდვილის ცოცხალი გამოხატვის ხაზით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი არა ჯანსაღი ტენდენცია: ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი შემოქმედებით ობიექტად იღებს მათთვის სრულიად უცნობ და უცხო მასალას. მაგალითად: ახალგაზრდა პოეტი **გ. კალანდაძე** სწერს პოემას „ჟორდანო ბრუნო“. ცხადია ახალგაზრდა ავტორი სათანადო სისრულით ვერ იცნობს ბრუნოს პიროვნებას, ეპოქის მთელ შინაარს, ამიტომაც ამ საკმაოდ ნიჭიერ ახალგაზრდას ამ შემთხვევაში მხოლოდ სქემები გამოუდის ნაცვლად მხატვრული სახეებისა.

აღსანიშნავია აგრეთვე არა ჯანსაღი გატაცება ფართო პოეტური ტილოებით, მაგალითად **ნიკ. ფხაკაძე** წერს პოემას „კომკავშირელი“. დამწყები ავტორის მხატვრული შესაძლებლობანი ვერ უძლებენ ფართო სიუჟეტურ პოეტის მოთხოვნებს და ავტორი უეჭველი მარცხის წინაშე დგება. კომკავშირელის სახე შესრულებულია ზერელეთ და სქემატიურად. სიუჟეტის განვითარება მოკლებულია რეალურობას. პოემა მხატვრულის თვალსაზრისით მეტად სუსტად არის შესრულებული. უნდა ხაზი გაუსვათ, აგრეთვე, ახალგაზრდა კადრების იდეური სიმტკიცის საკითხს. ფხაკაძის მთელი რიგი ლექსები მაგალითად გაზ. „სიტყვა და საქმეში“ დაბეჭდილი ლექსი „იოსებ დავითაშვილს“ მოწმობენ, რომ ფხაკაძე მოქცეულია „მემარცხენე“ ვულგარიზატორული შეხედულებების გავლენაში და თავის პოეზიაში ანვითარებს იმ უხეშ დამახინჯებებს, რომლებიც თავის დროზე სათანადო სიმკაცრით იყო დაგმობილი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურული საზოგადოებრივობის მიერ. იდეურ დამახინჯებათა რეციდივების აღმოფხვრა აუცილებელი პირობაა ჩვენი ახალი კადრების ნორმალური ზრდისათვის.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ენის სიწმინდის საკითხს. მხატვრული შემოქმედების ეს ელემენტარული პირობა ამ თავითვე ღრმად უნდა შეითვისონ ჩვენმა ახალგაზრდა კადრებმა. ჯერჯერობით კი ამ მხრივ არა გვაქვს სანუგეშო მდგომაოეობა, მაგალითად გ. აროსიას ლექსში ვკითხულობთ:

> „მტრებთან შეტევა ისევ ხელდება
> მაგრამ მრისხანე ჩვენც ვართ მსაჯულნი
> ვინ იცის იმის **ბინძურ ხელებმა**
> **მოსპენ რამდენი იარაჯული.**

**ი. ბურჭულაძის** ლექსში „სესილი“ ვხვდებით ასეთ ადგილებს:

> „მითხარი რად **მღერიხარ**
> უძვირფასესო გოგონავ“.

ან კიდევ: „მას შემდეგ **ჟამთა რბენანით**
წინ ექვსი წელი გასრულდა“.

ეს სტრიქონები ცხადყოფენ, რომ ენის სიწმინდის საკითხს ზოგიერთი ახალგაზრდა ავტორები არ ეკიდებიან სათანადო პასუხისმგებლობით. ამ მხრივ ისინი საჭირო სიღრმით არ ანხორციელებენ იმ უდიდესი მნიშვნელობის მითითებებს, რომლებიც მოცემულია ჩვენი ქვეყნის პირველი პროლეტარული მწერლის **მაქსიმ გორკის** წერილებში და განსაკუთრებით მის წერილში: „საუბარი ახალგაზრდებთან“.

ახალგაზრდა კადრების წინაშე მთელი სიმწვავით უნდა დავაყენოთ ამოცანა კლასიკური მხატვრული მწერლობის ზედმიწევნითი შესწავლისა და საერთოდ გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის თანმიმდევრული მუშაობის შესახებ.

მკაცრად უნდა შევებრძოლოთ ახალგაზრდა მწერლების მიერ იმ ავადმყოფური ჩვევების შეთვისებას, რომლებიც ახასიათებდით ბურჟუაზიულ—წვრილბურჟუაზიულ მწერლობის კადრებს. ავადმყოფური ინდივიდუალიზმი, სისტემატიური მუშაობის შეცვლა პოეტური „ბოგემისა“ და უდარდელობის განწყობილებით. მწერლობისადმი დამოკიდებულობა საკუთარი პატივოყვარეობის საზომით, საკუთარ მხატვრულ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა და აქედან გამომდინარე დაუმსახურებელი პრეტენზიები, ყოველივე ეს მახინჯი ტრადიციები ჯერ კიდევ პოულობენ თავის საკმაო გამოხატულებას ჩვენი ახალი კადრების ჩვევებსა და მოქმედებაში. ამ მომენტების წინააღმდეგ ბრძოლა ახალ კადრებთან მუშაობის ერთერთ პირობას წარმოადგენს.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ახალი კადრების აღზრდისა და დაწინაურების ხაზით წარმოებულმა მუშაობამ ნიჭიერი ახალგაზრდობის მთელი პლეადა გამოამჟღავნა. მათ მიერ გამოქვეყნებული პროდუქცია გვიჩვენებს საღი მხატვრული შესაძლებლობის დიდ მარაგს. ამ შესაძლებლობათა ნორმალური განვითარება სავსებით დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად შესძლებენ ჩვენი ახალგაზრდა კადრები, რომ მათ შეითვისონ ლიტერატურული შემოქმედებისადმი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე, თავი დააღწიონ იოლი და მსუბუქი გზით ლიტერატურული კარიერის მოპოების ცდებს და დაუღალავად იმუშაონ ამ ურთულესი სიძნელეების გადასალახავად, რომელიც ისახება ყოველი დამწყები მწერლის წინაშე. მეორე მხრივ საბჭოთა მწერლების მთელი აქტივი ენერგიულად უნდა ჩაებას იმ მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეში, როგორიცაა ახალი შემოქმედებითი კადრების აღზრდის საქმე.

ბესო ჟღენტი

## ქ. გამსახურდიას წერილის „გამოძახილი“-ს დასასრული

ში. და რასსიული თეორია აქ გამოსადეგია. უნდა გაგვეჟლიტა ყველა, ვისაც ქართული სისხლი არ აღმოაჩნდებოდა ძარღვებში. დარიალი ამოგვექოლა. საქართველოს ისტორიულ მტრებისათვის რევანში მიგვეცა.

როცა ათი წლის ვიყავი, მე ასეთი ოცნებაც მქონდა: „ქართლის ცხოვრებას“ ვკითხულობდი, თანაც ვიქადნოდი: როცა გავიზრდები, საქართველოს დიდ გალავანს შემოვავლებ, სომხებს, რუსებს და ოსებს გავჟლეტ მეთქი. უფრო ადრე, ხის ცხენებზედაც ვმჯდარვარ, მაგრამ ახლა არ ვქადაგებ ხის ცხენებზე ჯდომას და ცოცხალზე ჯდომას ვარჩევ. და მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე ი. გოგებაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მონახაზ საქართველოს შევცქეროდი: დარიალს, დარუბანდს, ერზერუმს და არაქსს.

დღეს, საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში, მხოლოდ ბალღებს შეუძლია ასეთი ამბებით თავისგართობა. ვინც საქართველოს ისტორიას კარგად იცნობს, მას უთუოდ იგიც ეცოდინება რომ, **არც დავითის, არც თამარის, არც ერეკლეს საქართველო მარტოოდენ ქართული სისხლის ნაშიერთა მხრებზე არა ყოფილა აშენებული.** ჩვენი უჭკვიანესი მეფეები და სახელმწიფო მოღვაწეები მუდამ იმის ცდაში იყვნენ: **საქართველოს სახელმწიფოებრივობის მშენებლობაში ყველა, საქართველოში მცხოვრები ტომის, ენის და ჯიშის ხალხი ჩაეთრიათ.** დავით აღმაშენებელი მუსულმანებს მორიდებულად ექცეოდა, ყიფჩაღებს მშვილდისარს აძლევდა ხელში, მიზგითში ლოცულობდა. თამარი სომხებს უდიდესს პოსტებს ურიგებდა და ერეკლე მეორე სომხებს და აზერბაიჯანელებს მფარველობდა, რა თქმა უნდა, ეს არ აიხსნება მათი ინტერნაციონალიზმით, არამედ ისტორიული აუცილებლობით და ისინი თავიანთი ნაციონალისტური პოლიტიკიდან გამოდიოდენ. ახალ დროში ეს ვერ შეიგნეს მენშევიკებმა. მათ ოსები, სომხები და აფხაზებიც კი გადაგვკიდეს, ჩვენს ძმებს აჭარლებს ჩვენი თავი შეაძულეს (აბხაზებიც, რომელთანაც მრავალი საუკუნის მანძილზე საერთო სახელმწიფო გვქონია). მე ამას წინად ორგზის მოვიარე აბხაზეთი და ორგზისვე **დავრწმუნდი, თუ როგორი უკუღმართი პოლიტიკა უწარმოებიათ მათ ამ მშვენიერი, მოძმე ტომის მიმართ.**

ჩვენ პატარა და წელში გაწყვეტილი ერი ვართ, **ჩვენ ვერ ავყვებით ვერც იტალიელებს, ვერც პანგერმანისტებს** და მე სასაცილოდ მეჩვენება იმ ლენტებიან ქართველ ჭაბუკების ქადაგება, ბრმა მოდას აყოლილნი, **პარიზისა და ბერლინის ქუჩებზე რომ იქადნიან მამულიშვილობას.** და არც ის პარიკიანი მელოტების საქციელი მომწონს, რენეგატობისა და ღალატის საშუალებით რომ გარბიან საზღვარს გადაღმა.

ვახტანგ მეექვსემ ორიოდე ათასი საუკეთესო კაცი წაიყვანა საქართველოდან, მაგრამ მის ემიგრანტობიდან არაფერი გამოსულა. სხვათა შორის ვახტანგს გაცილებით მეტი ჭკუა და განათლება ჰქონდა, ვიდრე ჟორდანიას და ძმათა მისთა მოეპოვებათ. და ვახტანგმა გაცილებით უკეთ იცოდა ქართველი ხალხის ბუნება და ისტორია, ვიდრე იმ ჭაბუკებმა, პარიზის, ბერლინის, ლონდონის ქუჩებში რომ დასეირნობენ ამჟამად და ცაში გაფრენილ წეროებისათვის შამფურებს სთლიან.

არც ზედმეტი ტერიტორია სჭირია საბჭოთა საქართველოს. საბჭოთა საქართველოს ადმინისტრატიული ხაზით გარსმოვლებული ტერიტორია გაცილებით მეტია, ვიდრე დღევანდელი ბელგიის მიწა-წყალი და მხოლოდ შლეგი თუ გადაიკიდებს მეზობლებს იმისათვის, რომ ქართველ ხალხს ზედმეტი ჰექტარი მიწა მოუხვეჭოს.

თუ დღევანდელი საქართველოს აღმშენებლობას კეთილად წარვმართავთ, კოლხეთის ჭაობების ამოშრობა შევძელით, სამგორის, ყარაიას და ალაზნის ველების მორწყვა მოვახერხეთ, დღევანდელი საქართველო ათგზის მეტ ხალხს დაიტევს.

**საქართველოს სოციალისტური ინდუსტრია-** [illegible]

მე. 1921 — 32 წლების მანძილზე მეც არა ერთხელ მსმენია საბჭოთა საქართველოს მტრების ძახილი და წამყოფა. გულახდილად ვაღვიარებ: 1921 — 25 წლებში მეც თავათ ვირყეოდი, ლამის არ იყო გადავყევი ამ რყე- [illegible]

„მე აქ, კონკორდის მოედანზე თქვენთან სეირნობას, საქართველოს „ჩეკაში“ ჯდომა მირჩევნია. და არცერთი ბოლშევიკი მე ტყვიას არ მესვრის უმართებულოდ“.

შესაძლოა, პირადად ჩემთვის უკეთესიც ყოფილიყო ევროპაში დარჩენა, მაგრამ მოღალატის სახელით მე არ შემეძლო ცხოვრება. გარდა ამისა, მე მომწყინდა სუყე, გამოფიტული და მაძღარი ცხოვრება... მე მუდამ მძაგდა ევროპის ბანალური მატერიალიზმი და ოქროზე აგებული ბაბილონი. მე არად ვაგდებ იმ ოთხიოდე ფუთ ლეშს, რომელსაც ყოველი ადამიანი ატარებს ძვლებით. ამისათვის თაღლითობა და ვაჭრობა არა ღირს.

სწორედ ამიტომაც, არც კერძო საკუთრების აპოლოგეტი ვყოფილვარ ოდესმე, და არც ევროპელი გულარძნილი ბურჟუაზიის მოჯამაგირე. ეს რომ მდომოდა, მე სულ სხვა გზით წარვმართავდი ჩემს პირად ცხოვრებას და შესაძლებლობაც სხვაზე ნაკლები არა მქონია.

დღეს კი, ჩემთვის ნათელია: ვერც იტალიური, ვერც გერმანული ფაშიზმი და მათი რასსიული თეორიები ჩვენ ვერას გვიშველის. **ფაშიზმი ევროპელი დიდი ერების მიერ მოგონილია და მათ ეს იმისათვის სჭირიათ,** მცირე და ყველა სხვ. ერების მიმართ პირველობის უფლება დაასაბუთონ. და ისიც ცხადია: **ჩვენ ისეთი მომენტის წინაშე ვდგავართ ამჟამად, როგორიც იყო მაშინ, როცა პრუსსიას ვილჰელმ** მესამე წინუძღოდა საფრანგეთის რევოლუციის დიდი კოცონის ჩასაქრობად ამხედრებულს. **ჩვენ არაფრად გვჭირია მოდური იდეები.**

**გერმანიას მცირე ერები არა ჰყავს ამჟამად, მაგრამ ფაშიზმი რაკი ნიჭიერსა და შრომის მოყვარე** ებრაელობას „პოგრომებს“ უწყობს, ცხადია, მან სხვა მცირე ერი თუ ხელთმოიგდო, ან რუსის მონარქისტებს დაასვამს თავზე, ან არა და თავათ შესანსლავს. ჩემთვის, როგორც ქართველი პოეტისათვის მუდამ ზიზღის მომგვრელი იყო ანტისემიტიზმი. (იხ. დიონისო).

**ზოგიერთს ისიც არ გაეგება, რომ გერმანული კულტურისადმი ტრფიალი არა ნიშნავს გერმანული ჟანდარმერიისადმი ტრფიალს.** გარდა ამისა, გერმანოფილობისა და ეპიგონობის პერიოდი უკვე განვლილი მაქვს **და კრიტიკული თვალით შევცქერი ყოველი ერის კულტურას.** სულერთია, გერმანული იქნება იგი, ფრანგული, იტალიური, თუ რუსული. მე არასოდას ვყოფილვარ ბისმარკის, პრუსსიული იუნკერობის და ჟანდარმერიის მეგობარი და არც გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკას მოვყვავარ ალტაცებაში ამჟამად. თვით საუკეთესო გერმანელი მწერლებიც არ უგალობდნენ [illegible]

[illegible] ლება აქვს ყოველ ცხოველს, ყოველ ხეს მოეფეროს. „ძმა და მეგობარი“ უწოდოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, იგი მუშების ამხანაგად ველარ გამოდგეს.

[illegible] უნდა ჩამოერთვას. თუ საბჭოთა მთავრობა გულდასმით ისმენს დღეს უპარტიო აგრონომის, ინჟენერის, ქირურგის, ფინანსისტის თათბირს, აქ ჩვენც მოგვისმენენ ალბად, მით უმეტეს რომ პოეტი ამხ. სტალინის არ იყოს, სულის ინჟენერია.

შესაძლოა, მე როგორც პოეტს, მოაზროვნეს და ადამიანს, მრავალი ზადი მქონდეს, მაგრამ არასოდეს არა გულწრფელი სიტყვის ქვეშ ჩემი სახელი და გვარი არ მომიწერია და ასეთ რამეს არც ოდესმე მოვაწერ ხელს. და ეს ბარათი ასე უნდა დავასრულო:

**ყოველმა პოეტმა, ყოველმა მწერალმა მხოლოდ ისეთი სტრიქონების ქვეშ უნდა დასწეროს თავისი სახელი და გვარი, რომლისათვისაც ხმლის მოქნევას შესძლებს ყოველ წუთს *). ამას მოითხოვს ჩვენი საუკუნე, ამას მოითხოვს ლიტერატურის, კულტურის პროგრესიც.**

ტფილისი.

1934 წელი

მაისი.

*) რა თქმა უნდა აქ არ იგულისხმება წარსული შეცდომები.

## არასწორი გამოძახილი

თავის ხშირ და არსებითად მეტად ერთფეროვან წერილობით გამოსვლებში **ქ. გამსახურდიამ** უკვე შეიმუშავა ერთგვარი ლიტერატურულ-პოლიტიკური „ალსარების“ თუ ნარევის ისეთი ჟანრი, რომელსაც ინტენსიური გამოყენების გამო გარკვევით ემუქრება საბჭოთა მკითხველი აუდიტორიის გულგრილობის და საერთოდ გაცვეთის საშიშროება.

სავსებით ცხადი და აშკარაა, რომ ქ. გამსახურდიას მთავარ საზრუნავ საგანს, ყველა მის ღონისძიებათა მიზანს შეადგენს თავის ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობის პოზიციების დაცვა, შექმნა თავისი საკუთარი, ისეთი ერთპიროვნული შემოქმედებითი კუნძულისა, სადაც აღმართული იქნება ჩვენი კრიტიკისათვის შეუვალი, ექსტერიტორიალური ციხე სიმაგრე, თავისებური „საგამსახურდიო“. ვაკვარით, არაპირდაპირ, თითქო გარდაქმნის გზაზე მყოფ „სიძნელეების“ მიზეზის მოშველიებით, ქ. გამსახურდია ასეთ შეფასებას აძლევს დღევანდელ საბჭოთა მწერლის ტიპს, თითქო იყოს „ისეთი კაცი, რომელიც ისე დასწერს, როგორც მას უბრძანებენ“. აქ ლაპარაკია იმ გათიშვაზე, რომელიც თითქო არსებობს „თავისუფალ“ ხელოვანს და მისთვის „იძულებითი დაკვეთის“ მიმცემ ეპოქას შორის. თავი დაგვ ნებეთ, რა გინდათ ჩვენგან — ამბობს ქ. გამსახურდია — („ჩვენ“ ე. ი. პოეტებს) გონების ლარი და ხაზი როდი გვიჭირავს ხელში, ჩვენ გრძნობას აყოლილი ხალხი ვართ... დღედალამ ვებრძვით სიტყვების მასას და ამ მძიმე შრომისას „გამარჯვება“ მაინც მოგვაძახეთო“. მაგრამ ვინ მიაძახებს დღეს გამარჯვებას ისეთ პოეტს, რომელიც გამსახურდიას მზგავსად დარწმუნებულია, რომ პოეზია საკუთარი ცხედრის საკუთარი ცრემლით განბანაა“. ასეთ ხუცურ-პანაშვიდური, რეაქციონურ-დეკადენტურ პოზიციებზე დგომას გამსახურდია უწოდებს „პოეზიის და ენის საკითხებში ოდნავ სხვანაირად ფიქრს“.

ჩემი მისტიკა არ გეგონოთ ის, რაც საერთოდ მისტიკათაა მიღებულიო — გვეუბნება ქ. გამსახურდია — და აქვე სახელდახელო გადატრიალებას ახდენს მისტიკის განმარტებაში: „მისტიკა ბუნების იდუმალებით გაოცებაა... მისტიკოსები ჯერ კიდევ ძველად ღვთის მგმობელნი იყვნენო“. ჩვენ კი სულ სხვა რამე გვეგონა მისტიკა და რაც შეიძლება ვერიდებოდით მას. არც მე ვიყავი მისტიკის მეტისმეტი თაყვანისმცემელი, მაგრამ თარგმანზე მუშაობის დროს შემომეჩვია და „კლასიკური ინვენტარის“ სახით გადმომყვაო — ამბობს ქ. გ. მაგრამ ეს არ მიშლის ხელს, რომ რევოლუციის მეგობარი ვიყოო — განაგრძობს ის. „ბოლოს და ბოლოს ბოლშევიკებს კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც ჰყავთ ისეთი მწერლები, რომელნიც ათასგზის ჩემზე უფრო მისტიკოსებია, მაგრამ საბჭოთა კავშირის მეგობრებად ითვლებიანო (ასეთია ანდრე ჟიდი და სხვებიო“). ერთი სიტყვით, ქ. გამსახურდია ამბობს: „რაც ვარ ეს ვარ. შემიყვარეთ და მიმიღეთ ასე როგორც ვარ, ჩემი ეგოცენტრიზმით, ინდივიდუალიზმით, მისტიკით, მებრძოლ ნაციონალიზმით, რასსიული თეორიით და სხვ. და სხვ. ისე, როგორც იტყვიან: „полюбите меня черненьким, а то беленьким меня всякий полюбит“. და ამას გარდა მომეცით ნება ჟიდის და კაპიტალისტურ ევროპაში მყოფ სხვა მწერალთა მზგავსად ვიყო საბჭოთა კავშირის მეგობარი, რადგან, თუმცა შემთხვევა მქონდა „ურისკოდ გადასულიყავი მტრების ბანაკში“, მაგრამ ეს არ მოვიქმედე ერთგულობის და ძმობის გამო და კიდევ იმიტომ, რომ „მომწყინდა სუყე, გამოფიტული და მაძღარი ცხოვრება და მძულდა ევროპის ბანალური მატერიალიზმი და ოქროზე აგებული ბაბილონიო“. ამაზე უნდა ვუთხრათ ქ. გამსახურდიას, რომ ღალატის არ ჩადენა სოციალისტურ სამშობლოს მიმართ არა თუ არ ითვლება განსაკუთრებულ დამსახურების საქმედ, არამედ შეადგენს ყოველი საბჭოთა მოქალაქის ისეთ უპირველეს მიუცილებელ და უწმინდეს მოვალეობას, რომლის დარღვევა იწვევს არც თუ მაინცდამაინც სასიამოვნო შედეგებს. რაც შეეხება ევროპის „სუყე და მაძღარი“ ცხოვრების მიტოვებას საბჭოთა ქვეყნისათვის და ისიც ერთგვარი მოწყენის გამო, დაგვეთანხმებით, რომ ამ განცხადებაში არ მოიპოვება მუშათა კლასის პოზიციაზე დამდგარ და მის საქმეში აქტიურად მონაწილე საბჭოთა მწერლის მრწამსის მოტივები. შეიძლება ამიტომ მოითხოვს ქ. გამსახურდია ჯერჯერობით მხოლოდ მეგობრის პასიურ როლს. დაწყებისათვის, შეიძლება, არც ეს იყოს ცუდი. მაგრამ ერთგვარი პირობების მინიმუმის დაცვის გარეშე არ არსებობს საბჭოთა კავშირის ისეთი მეგობრობაც კი, როგორიც გამოგვიცხადეს რომენ როლანმა, დრაიზერმა, ჟიდმა და სხვებმა და რომლის პრეტენზიას აცხადებს ქ. გამსახურდია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველა ეს მწერლები მივიდნ მხსენებულ მეგობრობამდე მხოლოდ მას შემდეგ, რაც იმათ გადააფასეს თავისი წარსული გზები, გაიცვ- [illegible]

[illegible] შირეები.

ქ. გამსახურდია კი, მსოფლმხედველობის და საკუთარი წარსულის გადაფასების საკითხში ახლანდელ თავის წერილშიაც ისევ იმ პოზიციაზეა, როგორც ამას ამ რამდენიმე ხნის წინად აღნიშნავდა ამხ. ქ. ორაგველიძე: „ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ამით ვთქვათ, რომ გამსახურდია იდეოლოგიურად გასწორდა ან კარგად სწორდება. არა, ის განაგრძობს დღესაც ჩვენი მწერლობის ყველაზე უფრო მარჯვენა ფლანგზე ყოფნას. მაგრამ მან გამოიჩინა ერთგვარი სურვილი ზოგიერთი ძველი შეხედულებების რევიზიისა“.

და სწორედ ამ რევიზიის ტემპების და ხარისხის ამაღლება უნდა შეადგენდეს გამსახურდიას გადაუდებელ ამოცანას. მან, მაგ. სავსებით უნდა გაარკვიოს და შეიგნოს ის გარემოება, რომ მის მიერ დასახელებული „მასწავლებლები და იდეური ინსპირატორები“ იყვენ ჰიტლერის თანამედროვე ფაშიზმის უშუალო წინამორბედები და რომ იდეოლოგიურად არსებითი განსხვავება არ არსებობს იმ რასიული თეორიის შორის, რომელსაც საკუთარი აღიარებით 1918 — 19 წლებში ავრცელებდა ქ. გამსახურდია და თანამედროვე ფაშიზმის იდეებს შორის. გამსახურდიამ უნდა იცოდეს, რომ „გერმანელი პრინცის ბაგრატიონების ნატახტარზე“ დასმის „სასოწარკვეთილი და უსამშობლო ახალგაზრდები“ იყვენ, ქართულ ნაციონალისტურ თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის შვილები, რომელთაც პრინცების გამეფებით უნდოდათ გაეგრძელებიათ მუშების და გლეხების უზრუნველი ექსპლოატაცია, ასე რომ უსამშობლოები მაშინ იყვენ ეს უკანასკნელები და არა ისინი, ვინც ოცნებობდენ ოქტომბრის რევოლუციისაგან დასამალავად „დარიალის ამოქოლვას“ და ყველა მეზობელ ერების ამოჟლეტას. გამსახურდიამ უნდა შეიგნოს, რომ მის შოვინიზმს, მის მებრძოლ ნაციონალიზმს „ცალკეულ განწყობილებების“ ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ ეს იყო ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის მთელი სისტემა. მან უნდა იცოდეს, რომ მისი „იტალიაში ბერად აღკვეცის სურვილი“, გერმანელ მონარქისტ-ნაციონალისტების იდეოლოგიის ბურუსში ყოფნა, და ის „მძიმე სულიერი ტანჯვის გზა“, რომლითაც (საკუთარი აღიარებით) მას უვლია 1921 წლიდან „უკრაინის თემიდამდე“ არ იყო მხოლოდ ლიტერატურული იდეების უმიზეზო ქროლვა, არამედ გარკვეულ კლასობრივ თვითშემეცნების ეტაპები და რყევა, რომელიც უნდა გათავდეს ძველი პოზიციების რადიკალური მტვრევით.

და მხოლოდ, მაშინ, როდესაც ქ. გამსახურდია საბოლოოდ დასწვავს მას, რასაც ეთაყვანებოდა, როდესაც იგი თავს დააღწევს თავისი ფატალისტური, პესიმისტურ-დეკადენტური, ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობითი ყალბი ილუზიების არეს და განთავისუფლებული იდეოლოგიის სიმაღლიდან შეხედავს სინამდვილეს, მაშინ იგი გახდება არა წვრილბურჟუაზიულ ტიპის საბჭოთა კავშირის მეგობარი, როგორც ეს სურს მას დღეს მთელი თავისი არქაული ტვირთის შენარჩუნებით, არამედ საბჭოთა მწერლობის აქტიური მონაწილე და ხალისიანი მშენებელი.

## გრ. ორბელიანის წერილები

[illegible]

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იქცევს 1857 ბარათები, 1857 წელს გრ. ორბელიანმა აიღო შამილის მნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები: ძველი და ახალი ბურთუნაი (სალათავია). ეს აქტი კავკასიის სამხედრო ისტორიაში ითვლება პირველ და გადამწყვეტ ნაბიჯად, რომელიც შამილის დიქტატურის განადგურებისათვის იყო გადადგმული (ამ ფაქტს ერთხმად აღიარებენ რუსი და დაღესტნელი ისტორიკოსები). სალათავის აღებისას იმსხვერპლა შამილის 4 ნაიბი—გაუგონარი შემთხვევა კავკასიური ბრძოლების ისტორიაში. ბარათების უპირატესობა, როგორც ირკვევა, ზარბაზნების ქუხილის წყვეტის უმალ უწერია გრ. ორბელიანს,

საერთოდ—გრ. ორბელიანის „წერილები“ ცოცხალი ილიუსტრაციაა რუსული იმპერიალიზმის შემოსვლის კავკასიაში და ნათლად აშასიათებს ქართველი არისტოკრატიის მონაწილეობას დაღისტნის დაპყრობის საქმეში.

„წერილები“-ს საშუალებით ირკვევა დღემდე უცნობი ფაქტები გრ. ორბელიანის ბიოგრაფიისა: ასე, გალ. გ. ორბელიანი პირადად შეხვედრია ლევტოლსტოის (1851), ჰაჯი-მურადთან ჰქონია მოლაპარაკება ტფილისში და შემდეგ ერთად უნადირნიათ ზაქათალაში (1851), და მრ. სხ. წერილები საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე ნ. ბარათაშვილზე, 50-ან წლების ტფილისზე და ა. შ.

პირველ ტომში დაიბეჭდება 300-დე ბარათი 1832—57 წლებისა (საქართველოს მუზეუმებსა და არქივში დაცული ბარათები მთლიანად შევა პირველ ტომში). თვითეულ წერილს მისდევს კომენტარიები, სადაც ცალკე პირთა ბიოგრაფიებს გარდა მოცემული იქნება პოეტის მიერ აღწერილ ეპიზოდების ისტორიული და გეოგრაფიული ფონი.

წიგნში მოთავსებული იქნება 30-დე პორტრეტი და სურათი (გრ. ორბელიანის ნათესავების, შამილის ნაიბების, სარდლების, დაღისტნის აულების და სხვ.) სახელების საძიებელი და ვრცელი ბიბლიოგრაფია.

„წერილები“ გამოდის აკ. გაწერელიას რედაქციით.

წინასიტყვაობას წერს ამხ. კოტე გორდელაძე.

გრ. ორბელიანის „წერილების“ მეორე ტომიც (მოქალაქო პერიოდი—1858—1882) აგრეთვე შეტანილია 1935 წლის სახელგამის საგამომცემლო გეგმაში.

## სხვადასხვა

[illegible]

### „ქართული საბავშო ლიტერატურა“

გამოვიდა ან. ღვინიაშვილის: „ქართული საბავშო ლიტერატურა“ წიგნი I (მიმოხილვა 19.. წლის). გამოცემა სახელგამის.

### ვაჟა-ფშაველას სახელობის სკოლა

სოფ. ჩარგალში (ფშავში) შენდება ვაჟა-ფშაველას სახელობის 4 წლედი საბაზო სკოლის გამგე ხორნაულის ხელმძღვანელობით. ჩარგალში მცხოვრებლებმა საამშენებლო მასალა უკვე დაამზადეს.

### ახალი ოპერა „კაკო ყაჩაღი“

კომპოზიტორი **მიხ. ლალინოვი** ამთავრებს ორიგინალური ოპერის წერას „კაკო ყაჩაღის“ თემაზე. ლიბრეტო დამუშავებულია **გ. ...შვილის** მიერ.

## წერილი რედაქციის მიმართ

„სალიტერატურო გაზეთი“-ს № 14-ში მოთავსებული იყო შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“-ს ახალი გამოცემის შესახებ საუბარი ამავე გამოცემის რედაქტორ — ამხ. **კ. ჭიჭინაძესთან.** ამხ. კ. ჭიჭინაძე თავის ინტერვიუში იმის მაგიერ, რომ მადლობა გადაუხადოს გამომცემლობას, რომელმაც უზრუნველყო „ვეფხის ტყაოსანი“-ს ასეთი სრული და ღირსშესანიშნავი გამოცემა, ის ყოვლად უსაფუძვლოდ ბრალს სდებს გამომცემლობას და აცხადებს:

1) თუ არა კ. ჭიჭინაძე, გამომცემლობა არ მოუშვებდა „ვეფხის-ტყაოსანი“-ს არა აკადემიურ გამოცემას, არამედ სახალხო გამოცემასაც.

2) რომ თითქოს გამომცემლობა კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილიყოს „ვეფხის ტყაოსანი“-სათვის დაერთო რითმების ინდექსი და სიმფონია. სინამდვილეში კი (თუ ის ისტორიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს) საქმე შემდეგში იყო:

1) „ფედერაცია“-ში ჩვენს მიერ მოწვეულ იქნა თათბირი „ვეფხის ტყაოსანი“-ს გამოცემის შესახებ, სადაც სხვებთან ერთად მოწვეული იქნა ამხ. ჭიჭინაძე, როგორც ჩვენს მიერ შერჩეული რედაქტორი. ამ თათბირზე, როგორც ამხ. კ. ჭიჭინაძე, ისე გამომცემლობის ხელმძღვანელობაც მივიდა იმ დასკვნამდე (არავითარ წინააღმდეგობას აქ ადგილი არ ჰქონია), რომ „ვეფხის ტყაოსანი“-ს სახალხო გამოცემა გადაიდოს და გამოიცეს აკადემიური გამოცემა, თუმცა ამით „ვეფხის ტყაოსანი“-ს სახალხო გამოცემის საკითხი გამომცემლობას დღისწესრიგიდან არ მოუხსნია და ასეთი გამოცემული იქნება უახლოეს ხანში.

2) გამომცემლობის არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკი არასოდეს არ ყოფილა იმის წინააღმდეგი, რომ ამ გამოცემას დართოდა რითმების ინდექსი და სიმფონია, არამედ ერთ ხელ გამოითქვა მხოლოდ აზრი, რომ ვინაიდან „ვეფხის ტყაოსანი“-ს გამოსვლა ჭიანურდება ამიტომ შესაძლებელია რითმების ინდექსი და სიმფონია-გამოიცეს ცალკე. მაშინ ამ აზრის იყო ამხ. მ. ტოროშელიძეც, მაგრამ შემდეგ, როგორც ამხანაგი მალაქია, ისე ჩვენც მივედით იმ დასკვნამდე რომ უმჯობესია რითმების ინდექსი და სიმფონია დაერთოს „ვეფხის ტყაოსანი“-ს განსაზღრულ ტირაჟს 2.000 ეკზემპლიარს, ხოლო 8.000 ეკზემპლიარი მოიცეს ასეთის გარეშე, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. როგორც ვხედავთ, ამხ. კ. ჭიჭინაძეს მოუვიდა ასეთი შეცდომა იმიტომ, რომ მან მოინდომა გაედიდებია თავისი პირადი როლი „ვეფხის ტყაოსანი“-ს გამოცემის საქმეში, და თავის საკუთარ დამსახურებად წარმოიდგინა ისიც კი, რაც ამ საქმეში გამომცემლობამ გააკეთა, თუმცა მან კარგად იცოდა, თუ როგორი დიდი სიძნელეების გადალახვა უხდებოდა გამომცემლობას.

გამომცემლობა „ფედერაცია“-ს გამგეობის თავმჯდომარე — **ი. ლისა...**

რედაქტორი: დ. დემეტ...

მთავ. № 1030

პოლიგრაფ სკოლა წერეთლის ქუჩა ...